

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის
სტრატეგიის პროექტი
2023-2026

ტექსტში გამოყენებული აბრევიატურები და აკრონიმები.....	ii
I. შესავალი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის საფუძველი	1
სტრატეგიის მიზანი.....	1
საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის სტრატეგიასთან შესაბამისობა	3
მომზადების მეთოდი	3
საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ძირითადი შედეგების და სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე შეფასებებში გამოვლენილი სუსტი მხარეების მიმოხილვა.....	5
2022 წლისთვის არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები	1
პრიორიტეტები და განხორციელების ვადები	3
PFMRS-ის საკოორდინაციო მექანიზმი	5
დოკუმენტის სტრუქტურა.....	6
II. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები.....	7
1. ბიუჯეტირება	7
2. მთავრობის ვალის მართვა	13
3. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება	Error! Bookmark not defined.
4. საგადასახადო და საბაჟო საკითხები	18
5. მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა	29
6. ფისკალური რისკები	32
7. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	34
8. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა.....	37
დანართი 1. ფინანსთა სამინისტრო: PFM-ის სტრატეგიის შედეგების მატრიცები	41
ინფორმაციული დანართი 2. ინდივიდუალური სტრატეგიები	132
ინფორმაციული დანართი 3. 2022 წლის PEFA-ს შეფასების ანალიზი.....	155

ტექსტში გამოყენებული აბრევიატურები და აკრონიმები

AEO	ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი
BDD	ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
BEPS	დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის სამოქმედო გეგმა
EC	ევროპის საბჭო
EU	ევროკავშირი
FHTP	საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შესახებ ფორუმი
FTE	ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება
GEL	ქართული ლარი
GGI	კარგი მმართველობის ინიციატივა
GiZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
GRS	საქართველოს შემოსავლების სამსახური
IBF	ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა
IFAC	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFRS	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
INTOSAI	უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაცია
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
IPSAS	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
MoF	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
OBS	ბიუჯეტის გამჭვირვალობის კვლევა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PEFA	სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულება
PFM	საჯარო ფინანსების მართვა
PFMRS	საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია
PIE	საჯაროდ დაინტერესებული პირი
PIMA	სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის შეფასება
SARAS	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
SAI PMF	უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო
SAO	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
SDG	გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები
SPA	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
SME	მცირე და საშუალო საწარმოები
TADAT	საგადასახადო ადმინისტრირების დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი
TGL	ხაზინის მთავარი წიგნი
USAID	აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WB	მსოფლიო ბანკი

I. შესავალი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის საფუძველი

სტრატეგიის მიზანი

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის (PFMRS) უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ფისკალური პოლიტიკის საწარმოებლად სათანადო მართვის გარემოს შექმნა, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის მიზნით. წინამდებარე სტრატეგიით მოცული პერიოდის ბოლოსთვის, საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა ორ ათწლეულზე მეტს მიითვლის. რეფორმის ფარგლებში მიღწეული წარმატებული შედეგები კი არაერთი შეფასებით დასტურდება.

საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გამართულობამ შეიძლება ითქვას უმნიშვნელოვანესი გამოცდა გაირა 2020-2022 წლებში, როდესაც პანდემიით და უკრაინაში რუსეთის შეჭრით შედეგად მიმდინარე ომით გამოწვეული გლობალური კრიზისის ფონზე ფისკალურ პოლიტიკას განსაკუთრებული მოქნილობა დასჭირდა. გამოწვევები რომლებიც პანდემიურმა პერიოდმა შეუქმნა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმას მრავალმხრივი იყო: (1) საჭირო გახდა საბიუჯეტო წლის დაწყებამდე არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრების მნიშვნელოვანი გადახედვა, მათზე მოქმედი გარე ფაქტორების მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო და შესაბამისად მნიშვნელოვნად შეიცვალა შემოსულობების პროგნოზები; (2) საჭირო გახდა ხარჯვითი ნაწილის პრიორიტეტების მნიშვნელოვანი ცვლილებები პანდემიისთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხარჯების, ასევე ეკონომიკური განვითარების აღდგენის ხელშეწყობი ღონისძიებებისათვის; (3) საჭირო გახდა პანდემიის პერიოდში დამატებითი დაფინანსების მობილიზება, ხოლო პოსტ-პანდემიურ პერიოდში ფისკალური კონსოლიდაცია (4) პანდემიის ხასიათიდან გამომდინა საჯარო ფინანსების მართვის ტექნიკური გამართულობა და ელექტრონულმა სერვისებმა სრულიად ახალი დატვირთვა შეიძინა, ვინაიდან ამ ყველაფრის მართვა მოხერხდა მეტწილად დისტანციურ რეჟიმში. პოსტ-პანდემიურ პერიოდში, რომელსაც პრაქტიკულად დაემთხვა უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული ომი და მორიგი ეკონომიკური კრიზისი, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობას და მოქნილობას ასევე უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. ფაქტორები სხვადასხვაგვარად მოქმედებენ ეკონომიკურ აქტივობაზე, რაც ფისკალური პოლიტიკის პასუხების განსაკუთრებულ ეფექტურობას მოითხოვს. პოსტ-პანდემიური ეკონომიკური აღდგენა, ომით გამოწვეული კრიზისის ფონზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორებთან (უკრაინა, რუსეთი) შემცირებული ეკონომიკური აქტივობა და ამავდროულად ე.წ. შუა დერეფნის ტრანზიტულ პოტენციალზე გაზრდილი მოთხოვნა ეკონომიკაზე ურთიერთსაწინააღმდეგო გავლენას ახდენენ. ეკონომიკის პოსტ-პანდემიური სწრაფი აღდგენის და ე.წ. შუა-დერეფნის სატრანზიტო როლის ზრდის ფონზე, წმინდა ეფექტი 2022 წლისთვის ომის დაწყებამდე არსებულ პროგნოზებთან შედარებით უფრო პოზიტიური აღმოჩნდა. აღნიშნულის მიღწევა მათ შორის შესაძლებელი გახდა მკაცრი ფისკალური კონსოლიდაციით და ორგანული კანონით განსაზღვრულ ვადებში (3 წლიანი პერიოდი) ფისკალური პარამეტრების, ფისკალური წესების ზღვრებში დაბრუნებით, რაც საჯარო ფინანსების მართვის გამართულ სისტემაზეც მიუთითებს.

საჯარო ფინანსების მართვის წინამდებარე სტრატეგია ფორმალიზებული საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიის მეოთხე განახლება¹ და ფარავს 2023-2026 წლებს. საჯარო ფინანსების

¹ https://www.mof.ge/strategiis_dokumenti_2009_2013 - საჯარო ფინანსების მართვის 2009-2013 წლების სტრატეგია; https://www.mof.ge/strategiis_dokumenti_2014_2017 - საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წლების სტრატეგია; <https://www.mof.ge/5189> - საჯარო ფინანსების მართვის 2018-2022 წლების სტრატეგია.

მართვის რეფორმის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მიმდინარე პროგრესის შეფასებას, ანალიზს და მასზე დაფუძნებულ დაგეგმვას. მიმდინარე განახლებაც ეფუძნება „საჯარო დანახარჯების და ფინანსური ანგარიშგების (PEFA)“ 2022 წლის თვითშეფასების ანგარიშს, რომლის ვალიდირებაც განხორციელდა ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.² გასათვალისწინებელია, რომ პირველად მომზადდა ასევე საჯარო ფინანსების მართვის გენდერული ასპექტების ანალიზი, PEFA სეკრეტარიატის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიში ფარავს 2019-2021 წლების პერიოდს. გარდა აღნიშნული შეფასებისა გასათვალისწინებელია, რომ მიმდინარე წელს ასევე განხორციელდა საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის შეფასება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მეთოდოლოგიით (PIMA). მიმდინარე წელს გამოქვეყნდა ბიუჯეტის გამჭვირვალობის (OBS) განახლებული ინდექსი, სადაც საქართველომ, მიუხედავად პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, არა მხოლოდ შეინარჩუნა ადგილი ყველაზე გამჭვირვალე ქვეყნების რიგში³ (წინა ორი შეფასებით (2019 და 2017 წლებში) გლობალურ რეიტინგში მე-5 ადგილს ვიკავებდით) არამედ პროგრესიც დაადასტურა და გლობალურ რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია ეფუძნება საჯარო ფინანსების მართვაში მანამდე უკვე განხორციელებულ წარმატებულ ცვლილებებს.

სტრატეგია მოიცავს:

1. გამართული საბიუჯეტო სისტემის მართვისა და შემდგომი სრულყოფის მიმართულებას - **ბიუჯეტირება;**
2. ვალის მდგრადი მართვის მიმართულებას, საგარეო და საშინაო ფინანსური ბაზრების, ქვეყნის საინვესტიციო და სტრუქტურული რეფორმების საჭიროებების გათვალისწინებით - **ვალის მართვა;**
3. საჯარო სექტორში IPSAS სტანდარტების და ფინანსური ანგარიშგებების სრულყოფილი დანერგვის მიმართულებას - **ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება;**
4. საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირებების, ასევე საბაჟო პოლიტიკისა და ადმინისტრირების მიმართულებით შემდგომი სრულყოფისა და ახალი გამოწვევების საპასუხო რეფორმების მიმართულებას - **საგადასახადო და საბაჟო საკითხები;**
5. მუდმივად ცვალებადი გარემო ფაქტორების გათვალისწინებით ხარისხიანია და ეფექტური მაკროეკონომიკური ანალიზის და მოდელირების სრულყოფას და მასზე დაფუძნებული მდგრადი ფისკალური პოლიტიკის მართვის მიმართულებას - **მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა;**
6. მაკროეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორებისგან, ასევე პირობითი ვალდებულებებიდან და კვაზი-ფისკალური ოპერაციებიდან მომდინარე რისკების მუდმივი მონიტორინგის, ანალიზისა და სათანადო რეაგირების მიმართულებას - **ფისკალური რისკების მართვა;**
7. საჯარო ფინანსების ეფექტური მართვის სრულყოფისთვის შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების სრულყოფილი დანერგვა - **სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა;**

² [https://www.pefa.org/assessments?&c_ids\[\]=93&year\[\]=2022](https://www.pefa.org/assessments?&c_ids[]=93&year[]=2022)

³ <https://internationalbudget.org/open-budget-survey/rankings>

8. კერძო სექტორის საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემის სრულყოფა, IFRS-ის დანერგვა - ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტის ზედამხედველობა.

დეცენტრალიზაციის რეფორმის მიმართულებით გასათვალისწინებელია რომ ყურადღება ასევე მახვილდება მუნიციპალური ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ სფეროებზე. ბიუჯეტის შესრულების (ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის) და შესყიდვების მიმართულებით არსებული სისტემები ძირითადად საერთოა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, თუმცა არსებობს ისეთი მიმართულებები, მაგალითად, როგორიცაა ბიუჯეტის ფორმულირება და ზედამხედველობა, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ ადგილობრივი ხელისუფლების კონტექსტში.

სტრატეგიის შესაბამისობა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის მიმართულებებთან

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა წლების მანძილზე წარმოადგენდა და წარმოადგენს ევროკავშირის მხრიდან სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერის აუცილებელი პირობას. საქართველოს, ევროკავშირის და არა მხოლოდ ევროკავშირის, ასევე სხვა დონორების საბიუჯეტო დახმარების ტიპის სექტორული მხარდაჭერის მექანიზმების, რეფორმების განსახორციელებლად წარმატებით გამოყენების კარგი პრაქტიკა დაუგროვდა. პოსტ-პანდემიურ და მიმდინარე გლობალური გამოწვევების ფონზე, მიმდინარე ფისკალური კონსოლიდაციისა და მთავრობის ვალის შემცირებისა და დივერსიფიცირების მიზნების გათვალისწინებითაც, საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ბიუჯეტის მხარდამჭერი მექანიზმის გამოყენებას სხვადასხვა სექტორებში. ევროკავშირისთვის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია წარმოადგენს საქართველოსთვის დაკისრებული ეფექტური მართვის და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის ვალდებულების შესრულების ერთგვარ საზომს.

2022 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადის და ამ გზაზე არსებული გამოწვევების ფონზე, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის შემდგომი განხორციელება ევროკავშირის სტრანდარტებთან სრული შესაბამისობის მიზნით, კიდევ უფრო მეტ დატვირთვას ქენს ამ რეფორმის წარმატების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

მომზადების მეთოდი

იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ფინანსების მართვის სფეროში საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ჩართულობები არიან სხვა უწყებებიც, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია მომზადდა პასუხისმგებელი უწყებების მიერ. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში საბიუჯეტო, შიდა ფინანსური კონტროლის, მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის და სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტების, ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის და სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ.

სტრატეგიის მომზადებაში ასევე მონაწილეობდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (SPA).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (SAO) და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა, რომლებიც მთავრობისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, რეფორმის საკუთარი სტრატეგიებს დამოუკიდებლად ამტკიცებენ, თუმცა ეს სტრატეგიები ერთობლივად წარმოადგენენ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის (PFMRS) ნაწილს. სტრატეგიის საბოლოო შეჯერება

ხდება PFMRS-ის საკოორდინაციო საბჭოში მონაწილე სხვადასხვა უწყებებს შორის, პროექტის სახით წარედგინება დაინტერესებულ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და პარტნიორებს და სამოქალაქო საზოგადოებას.

საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ძირითადი შედეგები

სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშგების (PEFA) ბოლო განახლებული შეფასებებით შეიძლება ითქვას, კვლავ დასტურდება მიღწევები იმ ძლიერ მხარებთან მიმართებაში, რაც აღნიშნული იყო 2018-2021 წლების რეფორმის სტრატეგიაში, ხოლო სუსტი მხარეების მიმართულებით აღინიშნება პროგრესი:

- კვლავ შენარჩუნდა მნიშვნელოვანი პროგრესი საჯარო ფინანსების გამჭვირვალობის თვალსაზრისით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების მიუხედავად ქვეყანამ უზრუნველყო გამჭვირვალობის სტანდარტის არა მხოლოდ შენარჩუნება არამედ გაუმჯობესება და ბიუჯეტის გამჭვირვალობის ინდექსში მსოფლიოში მე-5 ადგილიდან გადაინაცვლა **პირველ ადგილზე**;
- Covid-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, პრაქტიკაში გამოიცადა ფისკალური დისციპლინა, ვინაიდან ამუშავდა განსაკუთრებული პირობები (ე.წ. Escape Clauses - საგანგებო მდგომარეობა და რეცესია, კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად), როდესაც შესაძლებელი ხდება ფისკალური წესებით დადგენილი ზღვრების დარღვევა, კრიზისზე სათანადო ფისკალური რეაგირების მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ ფისკალურმა დისციპლინამ გამოავლინა სათანადო მოქნილობა კრიზისის განვითარების პერიოდში და ამავე დროს უზრუნველყოფილი იქნა ფისკალური წესების ლიმიტებში დაბრუნება, ორგანული კანონით განსაზღვრულ, 3 წლიან პერიოდში;
- კვლავ დასტურდება მნიშვნელოვანი პროგრესი შემოსავლების ადმინისტრირებისა და ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით, მიუხედავად პანდემიური ფონით გამოწვეული სირთულეებისა, მათ შორის ეფექტური ადმინისტრირების მიმართულებით.
- გრძელდებოდა მოქნილი, მარტივი და ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით რეფორმები, მათ შორის პანდემიური კრიზის პირობებში შესაძლებელი გახდა დღგ-ის დაბრუნების ავტომატურ რეჟიმზე გადასვლა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო როგორც საგადასახადო რეფორმისთვის, ასევე ბიზნესისთვის მნიშვნელოვან მხარდაჭერის ეფექტი ქონდა კრიზისის პირობებში ამ რეფორმის დაწყებას;
- აქტიურად გრძელდებოდა მუშაობა სახელმწიფო საწარმოების აგრეგირებული ფისკალური რისკის შეფასების შესაძლებლობების მიმართულებით და გაუმჯობესდა საჯარო სექტორის ფინანსური ზედამხედველობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან და სხვა პარტნიორებთან ერთად მომზადა სახელმწიფო საწარმოების მართვის სტრატეგია და განისაზღვრა მართვის დუალური მოდელი, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობის გაზიარებას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და ფინანსთა სამინისტროებს შორის.
- შექმნილია მაკროეკონომიკური და ფისკალური ანალიზის კარგი შესაძლებლობები, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პანდემიურ და უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული კრიზისების ფონზე, როდესაც პროგნოზირება, როგორც შიდა ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის განსაკუთრებით გართულებულია, გარემო ფაქტორებისა და მოვლენების სწრაფად ცვალებადობიდან გამომდინარე;
- მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე, კერძოდ:
 - შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის გაძლიერება - პროგრამული ბიუჯეტირება;
 - ხაზინის ერთიანი ანგარიში გაფართოვება, რომელიც სრულად მოიცავს მუნიციპალური ბიუჯეტების ოპერაციებს, ასევე ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ოპერაციებს (გარდა საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღებისა). პარალელურად

გრძელდება მუშაობა, რომ მოცვა გაფართოვდეს და ხაზინის ანგარიშთა სისტემაში მოიქცეს ასევე საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები.

- გრძელდებოდა მუშაობა შიდა კონტროლისა და საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გაძლიერების მიმართულებით, საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის (PFMIS) დახმარებით.
- ბიუჯეტირების, ხაზინის და სხვა დაკავშირებული სფეროებისათვის ჩამოყალიბებულია და სრულყოფილად ფუნქციონირებს ელექტრონული სისტემები (ePFMS) და მიმდინარეობს მუშაობა სისტემაში იმ სახელმწიფო საწარმოების ჩართვისთვის, რომლებიც სახელმწიფო საწარმოების სექტორიზაციის რეფორმის ფარგლებში კლასიფიცირდნენ როგორც საბიუჯეტო ერთეულები;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური გარდაიქმნა ტრადიციული მაკონტროლებელი-ინსპექტორების ფუნქციის განმახორციელებელი ორგანიზაციიდან ახალ, თანამედროვე ინსტიტუციად, რომელიც ფინანსურ, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტებს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ატარებს;
- შეიქმნა შიდა აუდიტის სამართლებრივი და მეთოდოლოგიური საფუძველი და ინერგება მთელი მთავრობის, მათ შორის მუნიციპალიტეტების მასშტაბით;
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით უზრუნველყოფილია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმებსა და ინიციატივებთან დაკავშირებით საჭიროებებზე დაფუძნებული ტრენინგების ჩატარება;
- 2011 წლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა. ყველა სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. სისტემაში ინახება შესყიდვების ჩანაწერები და ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომია. აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა, საერთაშორისო სტანდარტის ახალი შესყიდვების კანონმდლობის შექმნის მიმართულებით;
- მიმდინარე რეფორმები PFM-ის საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესებას უწყობს ხელს, კერძოდ:
 - პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუტს და განიხილავს ბიუჯეტს.
 - პარლამენტის საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტი, რომელმაც, მისი სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერით, პროგრესს მიაღწია აუდიტის ანგარიშების შემოწმების პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ადასტურებს **სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA - Public Expenditure and Financial Accountability)** შეფასების შედეგები, რასაც საქართველო რეგულარულად ატარებს. წინა, 2017 წლის PEFA შეფასებით, საქართველოს შეფასება 24 ქვეყნის საშუალო შეფასებასთან შედარებით (რომლებიც 2016 წლის PEFA-ს მეთოდოლოგიით იყო შეფასებული) უფრო მაღალი იყო 31 ინდიკატორიდან 29 ინდიკატორის შემთხვევაში. 2017 წლის შეფასებაში 2012 წლის შეფასებასთან შედარებით, 28 ინდიკატორიდან 27 ინდიკატორის შეფასების შედეგი გაუმჯობესებული/შენარჩუნებული იყო, რაც ადასტურებდა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის წარმატებით განხორციელებას საქართველოში.

2022 წლის PEFA თვითშეფასება და მისი ვალიდირებული ანგარიში ადასტურებს შემდგომ პროგრესს. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მიმდინარე შეფასება ეყრდნობა 2019-2021 წლების მონაცემებს, შესაბამისად სამი შესაფასებელი წლიდან, ორი წელი მკვეთრად გადახრილი იყო

ტრენდიდან COVID-19 კრიზისის უარყოფითი გავლენების გათვალისწინებით 2020 წლის პარამეტრებზე, ხოლო 2021 წელს მოსალოდნელზე უფრო მაღალი აღდგენის გათვალისწინებით.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები ასევე დაადასტურა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადებულმა საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების ანგარიშმა⁴. ანგარიშში ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის საფუძველზე სამი ძირითადი მიმართულებით - ანგარიშგება, ფისკალური პროგნოზირება და ბიუჯეტირება და ფისკალური რისკების ანალიზი და მართვა - შეფასდა 36 ინდიკატორი, საიდანაც 18 ინდიკატორი შეფასდა როგორც საუკეთესო ან კარგი, მათ შორის საშუალოვადიანი დაგეგმვა, საბიუჯეტო კანონმდებლობა, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების სიხშირე, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, პროგრამული ბიუჯეტირება, მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები, მაკროეკონომიკური პროგნოზები და სხვა. აღნიშნული ანგარიშის განმეორება იგეგმება 2023 წლის პირველ ნახევარში, რაც დიდი ალბათობით დაადასტურებს შემდგომ პროგრესს, რაც აღნიშნულია 2022 წლის PEFA შეფასებაში.


გატარებული რეფორმების შედეგად, „ბიუჯეტის „გამჭვირვალობის კვლევა 2017“-ის (Open Budget Survey 2017) შედეგებით, საქართველომ 82 ქულით⁵ მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის⁶. აღნიშნული პოზიციით, საქართველო მოექცა სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში (2015 წელს განხორციელებული იმავე კვლევის თანახმად, საქართველომ 66 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა და მოექცა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში). საქართველო რეგიონიდან ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც გადავიდა მნიშვნელოვნად გამჭვირვალე ქვეყნების ჯგუფში და რომლის სტანდარტსაც ბოლო კვლევებით მხოლოდ 5-6 ქვეყანა აკმაყოფილებს მსოფლიოში. შესაბამისად, საქართველო იკავებს ადგილს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განსაკუთრებული წარმატების მქონე ისეთ ქვეყნებთან ერთად როგორიცაა: ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია. საქართველომ მე-5 ადგილი და ყველაზე გამჭვირვალე ქვეყნის სტატუსი შეინარჩუნა 2019 წლის ანალოგიურ კვლევაშიც, ხოლო 2022 წლის იმავე კვლევის შედეგად კი საქართველომ მსოფლიოში **პირველ ადგილზე გადაინაცვლა**, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევაა პანდემიურ პირობებში, როდესაც გამჭვირვალობისა და ჩართულობის მექანიზმებისთვის დამატებითი წნეხი შეიქმნა დისტანციური მუშაობისა და ფიზიკური კომუნიკაციის შეზღუდვების პირობებში.

მიუხედავად წინა რეფორმების შთამბეჭდავი მიღწევებისა, სისტემის სტაბილური და ეფექტური ფუნქციონირების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არის გადასადგმელი ნაბიჯები, არსებობს სუსტი მხარეები, რომლებიც 2022 წლის ცენტრალური მთავრობის და მუნიციპალიტეტების PEFA-ს შეფასებებით გამოვლინდა და მიღწეული პროგრესის ფონზეც, რეფორმები უფრო რთული და ღრმა ასპექტების მიმართულებით იგეგმება.

⁴ <https://www.mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/georgia-fiscal%20rules%20report%202018.pdf>


⁵ <https://internationalbudget.org/summaries/georgia-2017/>

⁶ <https://internationalbudget.org/open-budget-survey/open-budget-index-rankings/>




2022 წლის შეფასებით, 2017 წლის შეფასებთან შედარებით A ქულით შეფასებულია 5 ინდიკატორით მეტი (სულ 20 ინდიკატორი). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ტრადიციულად A ქულით შეფასებული ინდიკატორები (PI-1 – PI-3), რომლებიც აფასებენ ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ფაქტიური მაჩვენებლების შესრულებას თავდაპირველ გეგმებთან მიმართებაში, პროგნოზირების სანდოობის შეფასების მიზნით, 2022 წლის შეფასებაში გაუარესებულია ობიექტური მიზეზების გამო, რაც რეპორტშიც აღნიშნულია. კერძოდ 2020 წლის პანდემიიდან გამომდინარე დანაკლისებით ხასიათდებოდა ბიუჯეტის შემოსავლები და ამავდროულად მნიშვნელოვნად შეიცვალა ხარჯვითი ნაწილის სტრუქტურა, კრიზისზე საპასუხო აქტივობების დაფინანსების მიზნით. ასევე 2021 წელს, მოსალოდნელზე უკეთესი ეკონომიკური აღდგენის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პარამეტრებით დასრულდა, თავდაპირველ კონსერვატორულ პროგნოზებთან შედარებით. შესაბამისად ხარისხობრივად გაუმჯობესებული ინდიკატორების რაოდენობა შეიძლება ითქვას უფრო მაღალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მინიმუმ სამ ინდიკატორში A-ზე დაბალი შეფასება გამოწვეულია პანდემიასთან დაკავშირებული ფაქტორებით და არ მიაღწევს სტრუქტურულ გაუარესებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ შეფასებაში საერთოდ აღარ ფიგურირებს D+ ან/და D შეფასება.



2022 წლის 20 დეკემბერს, 2022 წლის PEFA შეფასების ანგარიშის გამოქვეყნებისა და გასაჯაროების ღონისძიებაზე, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების მომუშავე მსოფლიო ბანკის ვალიდირების ჯგუფის მიერ აღინიშნა, რომ PEFA შედეგებით საქართველო იმ 59 ქვეყნას შორის, რომლებიც PEFA შეფასებას გადიან, ყველაზე კარგ შედეგებს აჩვენებს და პრაქტიკულად პირველ ადგილს იკავებს, ასევე აღინიშნა, რომ საქართველოს შედეგები უფრო მაღალია 7 ძირითადი მიმართულებიდან 6 მიმართულებაში, ვიდრე ევროპისა და ცენტრალური აზიის (ECA) რეგიონის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი.



აღსანიშნავია, რომ 2022 წლის PEFA შეფასება, ისევე როგორც 2018 წლის შეფასება მომზადდა 2016 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით. ჯამურად 31 ინდიკატორის ქვეშ არსებულ 94 დეტალურ განზომილებაში 66 მაჩვენებელი შენარჩუნდა 2018 წლის დონეზე (რომელიც თავის მხრივ უკვე მაღალ შეფასებას იმსახურებდა), 21 განზომილებაში გაუმჯობესდა, ხოლო მხოლოდ 7 განზომილებაში გაუარესდა (მეტწილად COVID-19 თან დაკავშირებული გადახრებიდან გამომდინარე).

ვალიდირებული ანგარიშის მიხედვით, პანდემიის მიუხედავად გაუმჯობესებულია:

- პირობითი ვალდებულებებისა და ფისკალური რისკების მართვის ნაწილი;
- აქტივების მართვის გამჭვირვალობა;
- საინვესტიციო პროექტების მართვის გამჭვირვალობა;
- ვალის მართვის სტრატეგიის მიმართულება;
- ფისკალური რისკების მართვის სტრატეგიის მიმართულება;
- ფისკალურ პარამეტრებზე ანგარიშგება;
- შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების მექანიზმები;
- მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამების მექანიზმების ეფექტიანობა;
- შიდა აუდიტის ხარისხი და სტანდარტი;
- გარე აუდიტის ანგარიშგების სტანდარტები;
- აუდიტის დასკვნებზე დაყრდნობით წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათზე რეაგირების მექანიზმების მიმართულება

ვალიდირების ჯგუფის დასკვნის მიხედვით PEFA შეფასებით დადასტურებულმა მიგნებებმა ცხადყო, რომ:

- COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისის დროს საჯარო ფინანსების მართვის სისტემამ გამოავლინა მაღალი ეფექტურობა, მათ შორის საინვესტიციო პროექტების მართვის, IPSAS სტანდარტების, შიდა და გარე აუდიტების მიმართულებით.
- EU რეგულაციებთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით და შემუშავდა ახალი კანონმდებლობა;
- მუშაობა მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიმართულებით;
- სახელმწიფო ხაზინის მიერ დანერგილი ფულის მართვის მექანიზმებით, საჯარო ფინანსების მართვის სისტემა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ასიგნებებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის ფულადი სახსრების დროულ მობილიზებას, არამედ ახდენს დამატებითი შემოსავლების გენერირებასაც, თავისუფალი სახსრებით განხორციელებული აუქციონების მეშვეობით;
- ფისკალური რისკების მართვის მიმართულებით გაუმჯობესდა ანგარიშის მოცვა და ხარისხი, მათ შორის სახელმწიფო საწარმოებიდან მომდინარე ფისკალურ რისკებთან მიმართებაში;

PEFA ანგარიშში აღნიშნული პროგრესისა და წარმატებული შედეგების კვალდაკვალ, რა თქმა უნდა საჯარო ფინანსების მართვაში გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც კვლავ რჩება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის დღისწესრიგში. PEFA ანგარიშის მიხედვით 2022 წლის შეფასებაში, 2018 წელთან შედარებით გაურესებული ინდიკატორები მეტწილად უკავშირდება COVID-19 გამოწვეული პანდემიის შედეგებს, რაც სრულად თანხვედრაშია გლობალურად პროგნიზირების გართულებასთან, წინასწარ გაუთვალისწინებელი მნიშვნელოვანი ფაქტორების მატერიალიზების გამო, კერძოდ გაურესდა:

- ფისკალური წესებით გათვალისწინებული ზღვრული პარამეტრები (შესაფასებელი სამი წლიდან 2 წელში მოქმედებდა განსაკუთრებული პირობები, ე.წ. escape clauses)
- ფისკალური პარამეტრების ფაქტიური შესრულება გეგმიურ მაჩვენებლებთან მიმართებაში;
- მუნიციპალიტეტების შემოსულობებში საკუთარი შემოსავლების წილი ცენტრალური ხელისფულებიდან გადაცემულ ტრანსფერებთან მიმართებაში;

გასათვალისწინებელია, რომ 2022 წლის PEFA შეფასებით, არცერთი ინდიკატორი აღარ შეფასებულია D და D+ ქულით. ამავდროულად ინდიკატორის შემადგენელი თითოეული დეტალური განზომილების მიხედვით კვლავ რჩება ასპექტები, რომლებიც დაბალი ქულითაა შეფასებული (C და C+ შეფასება):

- **სახელმწიფო რისკების მართვა (PI-10):** მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორი შეფასებულია B ქულით, დეტალური განზომილების ფარგლებში კვლავ რჩება C შეფასება, რაც ძირითადად დაკავშირებულია სახელმწიფო საწარმოების აუდიტებული ანგარიშგებების მომზადებასთან, PEFA სტანდარტით გათვალისწინებულ ვადებში;
- **სახელმწიფო აქტივების მართვა (PI-12):** არაფინანსური აქტივების მართვის მონიტორინგი და აქტივების განკარგვის გამჭვირვალობა ცენტრალური მთავრობის დონეზე გაუმჯობესებულია და ინდიკატორი შეფასებულია B ქულით (2018 წელს C+),

თუმცა დეტალურ განზომილებაში კვლავ არის შენარჩუნებული C შეფასება, რაც ასახავს არაფინანსური აქტივების მართვის მოცვის გაფართოების საჭიროებას;

- **სახელმწიფო ინვესტიციების მართვა (PI-11):** ინდიკატორი აფასებს ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკას საინვესტიციო პროექტების შესაფასებლად, საინვესტიციო პროექტების შერჩევის მექანიზმებს, საინვესტიციო პროექტების ღირებულების განსაზღვრისა და საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის პრინციპებს. მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორი 2022 წლის შეფასებით A ქულით შეფასდა (2018 წლის შეფასებით C ქულა), პრაქტიკაში ამ ინსტრუმენტის მდგრადი დანერგვისთვის კვლავ აქტიური სამუშაოა გასაწევი.
- **წლიური ფინანსური ანგარიშები (PI-29):** ინდიკატორი აფასებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშგების დროული წარდგენის საკითხებს. ინდიკატორის შეფასება გაუმჯობესებულია D+ ქულიდან C+ ქულამდე. IPSAS სტანდარტების დანერგვა და სრულყოფილი ფინანსური ანგარიშგების დანერგვა კვლავ რჩება მიმდინარე რეფორმის ნაწილად.
- **ფისკალური სტრატეგია (PI-15):** ინდიკატორი აფასებს ბიუჯეტზე პოლიტიკის ცვლილების ფისკალური გავლენის და ფისკალური შედეგების შესახებ ანგარიშგების ასპექტებს, მათ შორის ფისკალურ სტრატეგიის მიზნებთან მიმართებაში მიღწეულ პროგრესს. ინდიკატორის შეფასება გაუმჯობესებულია D+ შეფასებიდან B ქულამდე. გასათვალისწინებელია, რომ 2020 საბიუჯეტო წლიდან ეს მიმართულება აკმაყოფილებს A ქულით შეფასებისთვის საჭირო სტანდარტს, თუმცა მეთოდოლოგიით მოთხოვნილია ინფორმაცია ასახული იყოს ბოლო 3 საბიუჯეტო წლისთვის, 2022 წლის მდგომარეობით კი ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია მხოლოდ ბოლო 2 საბიუჯეტო წლისთვის.
- **შემოსავლების ადმინისტრირება (PI-19):** შემოსავლების დავალიანების მონიტორინგი და ისტორიული დავალიანება. 2022 წლის შეფასებით ინდიკატორმა კვლავ მიიღო B+ ქულა. ინდიკატორის ყველა დეტალური განზომილება შეფასებულია A ქულით, გარდა საგადასახადო დავალიანებების მონიტორინგისა, რომელიც შეფასებულია D ქულით. გასათვალისწინებელია, რომ დავალიანების 89% შეადგენს ისტორიულად გადმოყოლილ დავალიანებას და არ მიუთითებს ამჟამად არსებულ რისკებსა და პრობლემაზე. აღნიშნული ქულის გაუმჯობესების გადაწყვეტა მეტწილად ტექნიკური ხასიათისაა, თუმცა ხანდაზმულობის გათვალისწინებით საჭიროებს ფაქიზ მიდგომას, თუმცა არცთუ მცირე რეაგირებას.

მუნიციპალურ დონეზე გამოვლენილი სუსტი მხარეებია:

- **სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული ტრანსფერები (HLG-1):** ხარჯზე მიბმული (სპეციალური და კაპიტალური) გრანტების შესახებ მუნიციპალიტეტებისათვის ინფორმაციის მიწოდების არსებული პრაქტიკა და ვადები უარყოფითად მოქმედებს მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესზე, რესურსების პროგნოზირებადობის კუთხით.
- **ბიუჯეტის მომზადების პროცესი (PI-17):** გრანტების შესახებ ინფორმაციის დროულობა და ბიუჯეტის მომზადებისთვის შეზღუდული დრო ქმნის გარკვეულ სირთულეებს საბიუჯეტო პროცესში.
- **გარე აუდიტი (PI-30):** იდენტიფიცირებული პრობლემები უკავშირდება მუნიციპალიტეტებში ჩატარებული აუდიტის სიხშირეს და საკრებულოებში აუდიტის ანგარიშების განხილვის ვადებსა და სიღრმეს.

- **ინფორმაცია სერვისების გაწევის ეფექტიანობის შესახებ (PI-8):** ინდეტიფიცირებული სუსხი მხარეები უკავშირდება სერვისის მიწოდების ტიპის პროგრამებთან მიმართებაში შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის კომპონენტების (არაფინანსური ინდიკატორები) ხარისხს;
- **ვალების მართვა (PI-13):** მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების მიერ ვალის აღება რეალურად ხდება მხოლოდ ცენტრალური ხელისფულებისგან, გადასესხების გზით და ნაერთი ბიუჯეტის პარამეტრებისათვის სრულყოფილადაა წარმოდგენილი ეს ინფორმაცია, ამ ინფორმაციის სრულყოფილი ასახვა მუნიციპალიტეტების მიერ თავიანთ ანგარიშგებებში, კვლავ წარმოადგენს გამოწვევას;
- **შემოსავლების შესრულება (PI-3):** შემოსავლების პროგნოზირების სიზუსტე მნიშვნელოვნად უკავშირდება ცენტრალური ხელისფულებიდან გადაცემული ტრანსფერების პროგნოზირებადობის საკითხს.
- **წლის განმავლობაში რესურსების განაწილების პროგნოზირებადობა (PI-21):** წლიური ბიუჯეტის კორექტირებების მასშტაბი, ასევე დაკავშირებულია ცენტრალური ხელისფულების მიერ მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების შესახებ ინფორმაციის მიწოდების დროულობასთან.

გასათვალისწინებელია, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაციის დახმარებით პირველად მოხდა PEFA სეკრეტარიატის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით საჯარო ფინანსების მართვის გენდერული ასპექტების გაანალიზება. აღნიშნული შეფასებით მეთოდოლოგიით გათვალისწინებული 9 ინდიკატორიდან 6 ინდიკატორში შეფასება არის D ქულა, ხოლო 3 ინდიკატორში C. შესაბამისად გენდერული ასპექტების გათვალისწინება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია შემდგომ საშუალოვადიან პერიოდში.

PEFA ანგარიში ვალიდირების ჯგუფის მიერ PFM მომავალი სტრატეგიისთვის გაიცა რეკომენდაცია შენარჩუნდეს PFM რეფორმის ფარგლებში მიღწეული პროგრესი, რომელმაც გამოავლინა მდგრადობა ისეთ გამოწვევებთან მიმართებაში, როგორიცაა COVID-19 პანდემია და რეფორმის შემდეგი ეტაპები დაეფუძნოს აღნიშნულ მყარ საფუძველს, მათ შორის:

ცენტრალური ბიუჯეტისთვის

- გაგრძელდეს საჯარო ფინანსების მართვის, ბუღალტრული აღრიცხვის IPSAS სტანდარტის დანერგვის, სრულყოფილად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სისტემის დანერგვის პროცესი;
- გაგრძელდეს მუშაობა ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის სამსახურისთვის წარდგენის დროულობის მოსაწესრიგებლად;
- უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტების დანერგვა;
- გაგრძელდეს მუშაობა აქტივების მართვის მონიტორინგის გასაძლიერებლად.
- მოწესრიგდეს ისტორიული საგადასახადო დავალიანებების საკითხი (აღნიშნული საკითხი ტექნიკური ხასიათისაა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ ხედავს მას როგორ

პირველი რიგის ამოცანას, ვინაიდან აღნიშნული დავალიანებების 89% ისტორიულად გადმოყილი დავალიანებებია და არ მიუთითებს საგადასახადო ადმინისტრირების მიმართულებით ამჟამად არსებულ რაიმე ტიპის პრობლემაზე)

მუნიციპალური ბიუჯეტებისთვის

- გაგრძელდეს მუშაობა მუნიციპალური ბიუჯეტებისთვის გადასაცემი სპეციალური ტრანსფერების სისტემის შესაბამისობაზე, მათ საბიუჯეტო პროცესთან იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ტიპის შემოსავლების ადრეულ ეტაპზე გათვალისწინება, მათ შორის საშუალოვადიანი დაგეგმვის მიზნებისთვის;
- გაგრძელდეს მუშაობა შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ფარგლებში მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგების ინდიკატორების ხარისხის გაუმჯობესებაში ხელშეწყობისთვის;
- გაგრძელდეს მუშაობა ეფექტიანობის აუდიტის მიმართულების გასაძლიერებლად, მათ შორის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ჰარმონიზაციის ცენტრის ხელშეწყობით, მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტორების მიერ ეფექტიანობის აუდიტების მომზადების, ხოლო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ თემატური აუდიტების ჩატარების მიმართულებით შერჩეული მუნიციპალიტეტებისა ან/და მუნიციპალიტეტთან ჯგუფისთვის;
- შემუშავდეს წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განხილვისა და რეკომენდაციებზე რეაგირების მექანიზმები;

გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის

- მიზანშეწონილია ბიუჯეტირებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით ბიუჯეტის მართვის სისტემაში გენდერული კავშირების (gender tag) სისტემის ჩაშენება, რაც შესაძლებელს გახდის:
 - საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას;
 - ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების გავლენის გაანალიზებას გენდერული თანასწორობის ჭრილში;
 - მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამების გავლენის ანალიზს გენდერულ ჭრილში;
 - წარმომადგენლობით ორგანოების მიერ გენდერული ასპექტების ზედამხედველობას;

ცხრილი 1. ფინანსთა სამინისტრო: 2018-2022 წლების PFM-ის სტრატეგიის შედეგების მატრიცა

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
1	ბიუჯეტირება							
1.1	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა	საშუალოვადიანი ჩარჩო დაგეგმვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს	"SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBI – ღია ბიუჯეტის ინდექსი; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017) ; EU დირექტივა (2011/85/EU) IMF - ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება (2017)"	PI-5 - B PI-15.1 – D PI-16 – B+ (PEFA 2017 შეფასება); OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შედეგით საქართველო 82 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს 115 ქვეყანას შორის და მოქცეულია სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში;"	PI-5 - A PI-15.1 – C არანაკლებ ერთი პუნქტით გაუმჯობესება - C (2021); PI-16 – A; OBI - ღია ბიუჯეტის ინდექსის შენარჩუნება;"	PI-5 – A PI-15 – A PI-15.1 – D ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნა შესრულებულია 2021 და 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პაკეტში, თუმცა PEFA მეთოდოლოგიიდან გამომდინარე (წინა სამივე წელს ფასდება) შეფასებაში ვერ აისახა პროგრესი.	"ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში აისახება ინფორმაცია პილოტი სამინისტროების ახალი პოლიტიკის ფისკალური გავლენის შესახებ, რამაც შესაძლებელია ვერ მოიცვას გადასახდელების და შემოსულობების 90% და შესაძლოა ვერ მოახდინოს გავლენა PI-15.1 განზომილებაზე; PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება;"	"2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org); OBS - ღია ბიუჯეტის კვლევა 2021 (www.internationalbudget.org/open-budget-survey/)"

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
1.2	ფისკალური დისციპლინის გაძლიერება	ფისკალური პოლიტიკა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ფისკალურ წესებს	"SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBI – ღია ბიუჯეტის ინდექსი; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017) ; EU დირექტივა (2011/85/EU) IMF - ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება (2017)"	PEFA PI-15.3 – D PEFA PI-11 – C	PEFA PI-15.3 - A PEFA PI-11 – B	PI-15.3 - A PI-11 – A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები	"2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564); 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org);"
1.3	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	საინვესტიციო /კაპიტალური პროექტების მართვის ყველა ეტაპზე პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული მითითებული სისტემური მიდგომით შესაბამისი	"SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA ; OBI; მსოფლიო ბანკი (WB) - საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასება (PIMA) შეფასება (PIMA) "	"PEFA PI-11 – C 2017 წელს მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების დოკუმენტი (PIMA), სამოქმედო გეგმასთან ერთად. "	"PEFA PI-11 – B მსოფლიო ბანკი (WB) - საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების (PIMA) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება "	PI-11 – A	"PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება რეფორმის მასშტაბურობა და სირთულე შესაბამისი უწყებებში კვალიფიციური კადრების არასაკმარისი რაოდენობა "	"2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); საბიუჯეტო დოკუმენტაცია; PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org); "

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		ანალიზის საფუძველზე						
1.4	შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება	ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა ხორციელდება მოსალოდნელი შედეგების მიხედვით	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBS; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება საქართველოში (IMF); EU დირექტივა (2011/85/EU)	PEFA : PI-2 – A PI-5 – B PI-8 – A	PEFA : PI-2 – A PI-5 – A PI-8 – A	PI-2 – B+ (აფასებს ხარჯების სტრუქტურულ გადახრას, რაც გაუარესებულია COVID-19-ის გავრცელებიდან გამომდინარე) PI-5 – A PI-8 – A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება სამინისტროებსა და უწყებებში კადრების არასათანადო კვალიფიკაცია	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org); 2026-2026 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564);

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
1.5	ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა	საჯარო ფინანსების მართვის ყველა ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯაროა საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBS; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება საქართველოში (IMF); EU დირექტივა (2011/85/EU)	PEFA : PI-5 – B PI-9 – A OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შედეგით საქართველო 82 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს 115 ქვეყანას შორის და მოქცეულია სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში;	PEFA : PI-5 – A PI-9 – A OBI - ღია ბიუჯეტის ინდექსის შენარჩუნება;	PI-5 – A PI-9 – A OBI - ბიუჯეტის გამჭვირვალობის 2021 წლის კვლევით საქართველო პირველ ადგილს იკავებს 120 ქვეყანას შორის.	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება;	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org); OBS - ღია ბიუჯეტის კვლევა 2021 (www.internationalbudget.org/open-budget-survey/) განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საბიუჯეტო დოკუმენტაცია (www.mof.ge) 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564);
1.6	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების	ადგილობრივ დონეზე ხორციელდება ფინანსების	PEFA	PEFA HLG1 – საშუალო შეფასება D+ PI-8	PEFA HLG1 – B (მუნიციპალიტეტე	COVID-19-ის პანდემიის გავრცელებიდან გამომდინარე,	მუნიციპალიტეტებში კადრების არასათანადო კვალიფიკაცია	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org);

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
	მართვის გაუმჯობესება	უკეთესი დაგეგმვა საშუალოვადი ან პერიოდში		PI-17	ბის 50%-ის შემთხვევაში) PI-8 - არანაკლებ 1 პუნქტით გაუმჯობესება მუნიციპალიტეტ ბის 50%-ის შემთხვევაში) PI-17 - არანაკლებ 1 პუნქტით გაუმჯობესება მუნიციპალიტეტ ბის 50%-ის შემთხვევაში	განმეორებით არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტები ს PEFA-ს შეფასება. 2022 წელს დაიწყო ქ. თბილისის, ქ. ბათუმის და მარტვილის მუნიციპალიტეტები ს შეფასება მსოფლიო ბანკის და ევროკავშირის მხარდაჭერით, ასევე მომდევნო წლებში დაგეგმილია უკვე შეფასებული მუნიციპალიტეტები ს განმეორებით შეფასება.	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	
1.7	სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება	ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) არსებობს სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტები სა და ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების	GRPFM მეთოდოლოგიის მიდგომები ბიუჯეტისა და გენდერული ასპექტების ბიუჯეტში ასახვასთან დაკავშირებით	ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) პროგრამული ბიუჯეტის ნაწილში დამატებულია კლასიფიკატორი, სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების ინტეგრირების მიზნით	2023-2026 წლების პროგრამულ ბიუჯეტში არანაკლებ ერთი სამინისტროს შემთხვევაში პროგრამების/ქვეპროგრამები დაკავშირებულია სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის შესაბამის კლასიფიკატორთან	ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (e-budget.ge) შეიქმნა მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მხარჯავ დაწესებულებებს შესაძლებლობა აქვთ პროგრამები/ქვეპროგრამები დაუკავშირონ პოლიტიკის კლასიფიკატორს (SDG, კლიმატის ცვლილება,	პროგრამების შესაბამის პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირების საკითხის კომპლექსურობა და არასათანადო კვალიფიკაცია საკითხის სიახლიდან გამომდინარე	2023-2026 წლების პროგრამულ ბიუჯეტის დანართი, რომელიც წარედგინება პარლამენტს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		დაკავშირების მექანიზმი				გენდერული ასპექტები და სხვა). აღნიშნული ასახული იქნება 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში.		
2	მთავრობის ვალის მართვა							
2.1	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება (ადგილობრივი მთავრობებისთვის ვალის მართვაში დახმარების გაწევა).	PEFA	PI 13.3 - D	PI 13.3 - A	PI 13.3 - A	PEFA-ს შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია და განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge)
2.2	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილები ს გაზიარების საფუძველზე: 1. დივერსიფიკირებული ინვესტორთა ბაზა და ბაზრის გაზრდილი	მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემუშავებული „მთავრობის ბონდების განვითარების სახელმძღვანელო“ (Developing Government Bond Markets A Handbook)	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობის სიმცირე; არადივერსიფიცირებული ბაზარი (არარეზიდენტი + არასაბანკო ინვესტორების წილი მთავრობის ფასიანი ქაღალდების პორტფელში 2018 წლის ბოლოს	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მოცულობის ზრდა; ინვესტორთა ბაზის დივერსიფიცირება (არარეზიდენტი+ არასაბანკო ინვესტორების წილის ზრდა 20%-	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაცია 2018 წლის მონაცემთან შედარებით 2021 წელს გაიზარდა თოქმის 2-ჯერ; არასაბანკო ინვესტორების წილი მთლიან პორტფელში 2021 წლისთვის 11.3%-მდე გაიზარდა; 2019	რეგიონში შესაძლო არასტაბილური გარემო; პირველადი დილერების სისტემის არასაკმარისი ეფექტურობა;	PEFA-ს შეფასების ანგარიში; კანონში განხორციელებული ცვლილებები; სტატისტიკური მაჩვენებლები.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		ლიკვიდურობა; 2. ვალდებულებების მართვის ოპერაციების ფარგლებში ახალი ინსტრუმენტების დანერგვა; 3. პირველადი დილერების სისტემის დანერგვა.		მდგომარეობით იყო 2,61%); მეორადი ბაზრის განვითარების დაბალი დონე.	მდე); ვალდებულებების მართვის ოპერაციების დანერგვა; პირველადი დილერების სისტემის დანერგვა.	წელს დაინერგა ვალდებულებების მართვის BuyBack ოპერაცია; 2020 წლიდან ამოქმედებულია პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა		
3	სახელმწიფო სახსრების მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება							
3.1	აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა საჯარო სექტორში	დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტები შესაბამისად მომზადებული მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება	PEFA FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017) ;EU დირექტივა (2011/85/EU)SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი;	PEFA PI-12.1 – B PI-12.2 – C PEFA PI-22 – C+ PEFA PI-29 – D+	PEFA PI-12.1 – A PI-12.2 - B PEFA PI-22 - A PEFA PI-29 - A	მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად და ანგარიშვალდებულე ბისა და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება კონსოლიდაციის სირთულე ხაზინის მთავარ წიგნში კონსოლიდაციის შესაბამისი ფუნქციონალის არარსებობის გამო ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ყოველწლიურად გამოცემულ სტანდარტებზე ადაპტირების სირთულე.	PEFA შეფასების ანგარიში გამოქვეყნებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						გვერდზე www.treasury.ge . PEFA PI-12.1 – B PI-12.2 - C PEFA PI-22 - A PEFA PI-29 – C+		
3.2	ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარება	სრულად ფუნქციონირე ბადი დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებულ ი ხაზინის მთავარი წიგნის	PEFA FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017); EU დირექტივა (2011/85/EU) SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი;	PEFA PI-20 – A PEFA PI-23 – A PEFA PI-25 – A PEFA PI-27 – A PEFA PI-29 – D+	PEFA PI-20 – A PEFA PI-23 – A PEFA PI-25 – A PEFA PI-27 – A PEFA PI-29 – A	ხაზინის ელექტრონული სისტემა (eTreasury) განვითარებულია და მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებებზე ხაზინის ელექტრონული სისტემის ბაზაზე შემუშავებული ხაზინის მთავარი წიგნი სრულყოფილად ფუნქციონირებს. PEFA PI-20 – A PEFA PI-23 – A PEFA PI-25 – A PEFA PI-27 – A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება კვალიფიციური კადრების სიმწირე; ხაზინის ელექტრონულ სისტემაში (eTreasury) მომუშავე კვალიფიციური კადრების ნაკლებობა	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 ხაზინის მთავარი წიგნის საფუძველზე მომზადებული ანგარიშგებები

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						PEFA PI-29 – C+		
3.3	ფულადი სახსრების მართვის რეფორმა	ფულადი სახსრების მართვის მიზნებისათვი ს, ფულადი სახსრების ინსტრუმენტე ბი და მექანიზმების გამოყენება	PEFA	PEFA PI-21 - A	PEFA PI-21 - A	PEFA PI-21 - A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	PEFA შეფასების ანგარიში - 2021
4	საგადასახადო და საბაჟო საკითხები							
4.1	ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებები ს შესრულება	ევროდირექტი ვასთან შესაბამისობაში ი მოყვანილი საგადასახადო კანონმდებლო ბა	საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება; EU დირექტივა (2006/112/EC); (2003/96/EC)	განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა შესაბამისობის ანალიზი ევროპის საბჭოს დირექტივებთან და ცვლილებების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება	2006/112/EC და 2003/96/EC დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით საგადასახადო კოდექსში ცვლილებების განხორციელება	მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი ცვლილებების პროექტებზე.	კადრების და შესაბამისი დონის ექსპერტების ნაკლებობა	მომზადებული ცვლილებების პროექტი, კანონში განხორციელებული ცვლილებები

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
					და ზემოაღნიშნულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა			
4.2	საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფა	ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლო ბასთან შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს საბაჟო კანონმდებლო ბა	საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება; ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის რეგულაცია (EU) № 952/2013 და 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაცია.	საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც არ არის მიახლოებული ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან	ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას თან მაქსიმალურად მიახლოებული საბაჟო კანონმდებლობის მიღება	მიღებულია ახალი საბაჟო კოდექსი და მის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება.	კადრების და შესაბამისი დონის ექსპერტების ნაკლებობა	პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს საბაჟო კოდექსი“

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
4.3	დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი	საგადასახადო სფეროში BEPS-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ ი სტანდარტები ს დანერგვა	BEPS -ის ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებული წევრობით აღებული ვალდებულება	მე-5 ღონისძიება - 2017 წელს FHTP-ის მიერ კანონმდებლობის შეფასების შედეგად საერთაშორისო ფინანსური კომპანია და ვირტუალური ზონის პირი შეფასდა როგორც “potential harmful but actually not harmful” სტატუსით, ხოლო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სპეციალური სავაჭრო კომპანია როგორც არასაზიანო (out of scope of FTHP); მე-6 ღონისძიება - საქართველოს მიერ გაფორმებული შეთანხმებები არ მოიცავს BEPS-ის მე-6 ღონისძიების მინიმალურ სტანდარტს; მე-14 ღონისძიება - ურთიერთშეთანხმებ ის პროცედურების (MAP)განხორციელებ	BEPS-ის მე-5 (საზიანო საგადასახადო პრაქტიკის აღკვეთა), მე-6 (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა), მე-14 (დავების გადაჭრის ეფექტიანობის გაუმჯობესება) ღონისძიებების მინიმალური სტანდარტის დანერგვა და მონიტორინგი	საგადასახადო შეთანხმების ბოროტად გამოყენების აღკვეთის მიზნით, საქართველოს ხელი მოწერილი აქვს „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალხმრივ კონვენციას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საიტზე გამოქვეყნებულია 16 ახლად დამატებული სინთეზირებული ტექსტი, დანარჩენის დამატებაც მოხდება ეტაპობრივად.	კადრების და შესაბამისი ღონის ექსპერტების ნაკლებობა	შეფასების ანგარიშები

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
				ის არასაკმარისი რეგულაციები				
4.4	საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობის ა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი	საგადასახადო სფეროში გამჭვირვალო ბისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის სტანდარტები ს შესაბამისი პრაქტიკისა და კანონმდებლო ბის არსებობა	საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობით აღებული ვალდებულებები		გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასება და 2013- 16 წლის შეფასების სტატუსის (largely compliant) შენარჩუნება	მიმდინარეობს მუშაობა საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის წევრობით აღებული ვალდებულებებთან დაკავშირებით, GF- ის სამდივნოს გადაეგზავნა შემდეგი ფაზის შეფასებასთან დაკავშირებით შეცხებული კითხვარი.	საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შეფერხება/გაჭიანურება შესაბამისი კადრების ნაკლებობა	საქართველოს იურისდიქციის შეფასების ანგარიში და შეფასების რეიტინგი
5	დღგ-ის ზედმეტობის მართვა	დღგ-ის ავტომატური დაბრუნების	TADAT P8-24; საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნების	დაწყებულია დღგ-ის ავტომატური დაბრუნება 10%	დღგ-ის ავტომატური	დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროგრამის	ზედმეტობის დაბრუნების არაკეთილსინდისიერად გამოყენება.	სტატისტიკური მონაცემები

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		სისტემის ამოქმედება	განაცხადების დამუშავების ადეკვატურობა	TADAT - D	დაბრუნების 90%- იანი მაჩვენებელი TADAT - B	საშუალებით, დასაბრუნებელი ზედმეტობა, გადასახადის გადამხდელთა პირად საბანკო ანგარიშზე აისახება ავტომატურად, დამატებითი მოთხოვნის წარდგენის გარეშე. დღგ-ის ავტომატური დაბრუნების მექანიზმის შეფასების პროგრამული ლოგიკ ა და შესაბამისი სტატისტიკა სრულად შეესაბამება TADAT მოთხოვნებს.		
6	კანონმორჩილები ს რისკის სტრუქტურულიზირ ებული მიდგომის დანერგვა	არსებობს კანონმორჩილ ების სტრატეგია და მეთოდოლოგ ია, როგორც გადამხდელთა სეგმენტის ისე გადასახადის ჭრილში	TADAT POA 2-3 კანონთან შესაბამისობის რისკების გამოვლენა, შეფასება, დიფერენციაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა. POA 2-4 რისკების შემცირება კანონთან შესაბამისობის	TADAT – C	შეფასებებში - POA 2-3 POA 2-4 POA 2-5 TADAT - B	TADAT შეფასება P2-3 B ქულა P2-4 C ქულა P2-5 D ქულა	თანამშრომელთა კვალიფიკაცია	TADAT 2020 წლის ანგარიში

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
			დონის გაუმჯობესების გეგმით POA 2-5 კანონთან შესაბამისობის რისკის შემცირების ღონისძიებების მონიტორინგი და შეფასება					
7	გადასახადის გადამხდელთა რეესტრის შექმნა	გადასახადის გადამხდელთა რეესტრის მონაცემები სანდო და იძლევა საგადასახადო ადმინისტრირ ების მიზნებისათვი ს სრულყოფილ ი ანალიზის საშუალებას	TADAT; POA 1-1-1 ზუსტი და სანდო ინფორმაცია გადამხდელთა შესახებ TADAT; POA 1-1-2 პოტენციური საგადამხდლო ბაზის შესახებ ინფორმაციის ფლობა	TADAT – D TADAT - C	TADAT - B	TADAT შეფასება P1-1 B ქულა P1-2 A ქულა	საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციის გაუარესება	TADAT 2020 წლის ანგარიში
8	ერთიანი მეთოდოლოგიურ ი ბაზის შექმნა	მონაცემთა სამიგბო ონლაინ პლატფორმის ამოქმედება	TADAT: P 3-8 ინფორმაციის მოცულობა, განახლებადობა და ხელმისაწვდომობა; P 3-9 მოთხოვნილი ინფორმაციის გასაცემად საჭირო დრო			მონაცემთა სამიგბო ონლაინ პლატფორმის ძირითადი ფუნქციონალი შემუშავებულია, პლატფორმის კონტენტი		სამსახურის წლიური ანგარიში

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						მორგებულია პოტენციურ მომხმარებელთა საჭიროებებზე, მიმდინარეობის ბაზის დეველოპმენტთან დაკავშირებული სამუშაოები.		
9.	საგადასახადო დავალიანების მართვის რეფორმა	ვალის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლა	TADAT: P 5-18 საგადასახადო დავალიანების მოცულობა და ზრდის დინამიკა			TADAT შეფასება P5-18 C ქულა საგადასახადო დავალიანების დროულად გადახდი ს მაჩვენებლის გაუმჯობესების და დაგროვილი საგადასახადო დავალიანების მოცულობის შემცირების მიზნით, შემუშავდა ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგია; ახალ სისტემაზე გადასვლის მიზნით განხორციელდა შესაბამისი ლონისძიებები; სრულად გადასვლა დაგეგმილია 2023 წლიდან.		TADAT 2020 წლის ანგარიში; სამსახურის წლიური ანგარიში.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
10	მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების ახალი მიდგომების დანერგვა	მსხვილ გადამხდელთა სამსახურის სისტემური გამართვა და დებულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება	საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე ნაკისრი ვალდებულება (საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმა RMTF FAD_GEO_2018_01) 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოკლევადიანი ექსპერტების ანგარიშები.			დამტკიცდა მსხვილ გადამხდელთა ადმინისტრირების 2022-2023 წლების სტრატეგია, რომლის მიზანია ცენტრალიზებული, სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომებით, მსხვილი გადასახადის გადამხდელების საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება.		სამსახურის წლიური ანგარიში
5	მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება							
1	მაკრო-ფისკალური პროგნოზირების გაუმჯობესება	DSGE მოდელის საფუძველზე საშუალო-ვადიანი ფისკალური ჩარჩოს დაგეგმვა	FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება PEFA – საჯარო ფინანსების მართვის შეფასება საქართველოში	2.1.2 – კარგი პრაქტიკა (Good practice) (FTE, 2017 შეფასება); PI-14.2 – B (PEFA, 2017 შეფასება)	2.1.2 – დაკმაყოფილებული იქნება საუკეთესო პრაქტიკის (Advanced practice) შესაბამისი მოთხოვნები PI-14.2 – ერთი პუნქტით გაუმჯობესება - A (2021)	ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებით მიღებულია კარგი პრაქტიკის (Good practice) შეფასება. მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზირების კომპონენტში მაქსიმალური შეფასება აქვს მიღებული მთავრობის მიერ ძირითადი ფისკალური	FTE შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org);

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						მაჩვენებლების პროგნოზირების მომზადებას, თუმცა გაუარესებულია პროგნოზირების სიზუსტე, რაც ძირითადად გამოწვეულია პანდემიიდან გამომდინარე გზარდილი ეკონომიკური გაურკვევლობის ზრდით. PI-14.2 - A		
2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ისტორიული მონაცემების გადახედვის წესის შემუშავება	მონაცემთა გადახედვის მეთოდოლოგ იის შემუშავება მიმდინარე და ისტორიული მონაცემების შესაბამისობის უზრუნველსაყ ოფად	FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება	1.3.3 – არ შეესაბამება (FTE, 2017 შეფასება);	1.3.3 – დაკმაყოფილებულ ი - ძირითადი (2021)	არ გამოქვეყნებული ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების განახლებული ანგარიში, თუმცა მიმდინარე წლის მეორე კვარტლიდან დაიწყო და სამინისტროს ვებ- გვერდზე ქვეყნდება GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემები.	FTE შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ- გვერდზე (www.mof.ge) გამოქვეყნებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ისტორიული მონაცემების გადახედვის წესი

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
3	საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის რაოდენობრივი შეფასება	ანგარიშვალდ ებულების გაუმჯობესება	FTE - FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება PEFA	PI-1.1.4 – არ შეესაბამება (FTE, 2017 შეფასება); PEFA PI-5 - B	PI-1.1.4 – მინიმუმ ერთი პუნქტით გაუმჯობესება - ძირითადი (2021) PEFA PI-5 - A	მიმდინარე წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დახმარებით განხორციელდა საგადასახადო შეღავათების რაოდენობრივი ანალიზი და დასრულების პროცესშია შესაბამისი დოკუმენტიც, რაც მოიცავს მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯებს. PEFA- ს შეფასებით, გაუმჯობესებულია (ნაწილობრივშესრუ ლებულია 2021 წლისთვის) შესაბამისი ინდიკატორი ბიუჯეტის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.	FTE შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	
6	ფისკალური რისკების მართვა							

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
1	სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური შოკების შეფასება	სახელმწიფო საწარმოების სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს- ტესტები	FTE; ფისკალური წესი IMF TA; IMF პროგრამა; WB	2017 წლის ბოლოს მდგომარეობით სენსიტიურობის ანალიზი არ არის განხორციელებული.	სენსიტიურობის ანალიზი და სტრეს-ტესტები განხორციელდა 7- 10 ძირითადი სახელმწიფო საწარმოსთვის	საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით შემუშავებული სახელმწიფო საწარმოთა სენსიტიურობის ანალიზის მოდელის და მეთოდოლოგიის გამოყენებით 2018 წლიდან, ფინანსური მნიშვნელობის გათვალისწინებით შერჩეული 6 მსხვილი საწარმოსთვის მზადდება სამ- წლიანი ისტორიული და ხუთ-წლიანი ფინანსური პროგნოზები. მოდელში ასახულია საწარმოების სენსიტიურობა (სტრეს-ტესტები) სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების, მწვავე ეკონომიკურ შოკების და მოდელირებული სცენარების მიმართ,	სახელმწიფო საწარმოების მიერ საჭირო ინფორმაციის არადროული წარმოდგენა. სახელმწიფო საწარმოების მიერ არასრული და დაბალი ხარისხის ინფორმაციის წარმოდგენა.	ფისკალური რისკების ანალიზი, თანდართული სახელმწიფო ბიუჯეტზე

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						მათ შორის მშპ-ს ზრდის, გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების შოკების მიმართ. სენსიტიურობის ანალიზი და შოკების რეალიზების შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოებზე გავლენის შედეგები ქვეყნდება ფისკალური რისკების დოკუმენტში.		
2	ცენტრალური მთავრობის სახელმწიფო საწარმოების ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება და გამჭვირვალობის გაზრდა	დამატებითი ნორმები/რეგულაციები დაინერგა სახელმწიფო საწარმოების ეფექტურობის შეფასების და მონიტორინგი ს მიზნით	PEFA FTE; ფისკალური წესი IMF TA; IMF პროგრამა; WB	PEFA PI 10.1 - B	PEFA PI 10.1 - A	ფინანსთა სამინისტროს მიერ გაკეთდა ფისკალური რისკებისათვის მნიშვნელოვან საწარმოთა რეესტრი. ფისკალური რისკების ანალიზისთვის მნიშვნელოვან საწარმოთა უმეტეს ნაწილს წარმოდგენილი აქვს აუდირებული	სახელმწიფო საწარმოების, როგორც საჯარო ინტერესის მქონე საწარმოს იდენტიფიცირების შეფერხება. აუდირებული ფინანსური ანგარიშების შეფერხება ან არწარდგენა.	ფისკალური რისკების ანალიზი, თანდართული სახელმწიფო ბიუჯეტზე

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						ანგარიშგებები და დაზუსტებული ფინანსური მაჩვენებლები დადგენილ ვადებში. სახელმწიფო საწარმოთა ანალიზში შეტანილი საწარმოების ჯამური ბრუნვა ყველა სახელმწიფო საწარმოს ბრუნვის 90%-მდე შეადგენს, მათ შორის სახელმწიფო კორპორაციების 100%. ანალიზი მოიცავს საწარმოების როგორც ჯამურ ასევე ცალკეულ ფინანსურ მაჩვენებლებს და კოეფიციენტებს და ინფორმაციას პოტენციური ფისკალური რისკების შესახებ. დოკუმენტი გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						სამინისტროს ვებგვერდზე. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N217 განკარგულებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი დაინტერესების პირად იდენტიფიცირებულ ი სახელმწიფო საწარმოების მიერ აუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ივლისამდე წარდგენის, ხოლო არააუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარდგენის ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა კერძო სექტორის საწარმოებთან შედარებით უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს სახელმწიფო საწარმოებისთვის. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო საწარმოები ეტაპობრივად შეძლებენ აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში შესრულებას. ფისკალური რისკების ანალიზის და გამჭვირვალობის მიმართულებით მიღწეული უპრეცედენტო პროგრესის მიუხედავად, ამ ნაწილში პანდემიურ წლებზე (2020-2021) დაყრდნობით ქულის გაუმჯობესება		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						მოსალოდნელი არ არის, შესაძლოა ზოგიერთ საწარმოში პანდემიური მიზეზებით ერთჯერადად წარმოქმნილმა შეფერხებებმა, პირიქით, გამოიწვიოს ქულის ერთი საფეხურით გაუარესება, რაც ცხადია გამოსწორდება პოსტ-პანდემიურ პერიოდში.		
3	მუნიციპალიტეტის სახელმწიფო საწარმოების ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესება და გამჭვირვალობის გაზრდა	დამატებითი ნორმები/რეგულაციები დაინერგა სახელმწიფო საწარმოების ეფექტურობის შეფასების და მონიტორინგი ს მიზნით	PEFA FTE; ფისკალური წესი IMF TA; IMF პროგრამა; WB	PEFA PI 10.2 - C	PEFA PI 10.2 - B	საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 თებერვლის N217 განკარგულებით მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულნი არიან საზოგადოების დაინტერესებულ პირებად, ეთხოვათ აუდიტირებული	სახელმწიფო საწარმოების, როგორც საჯარო ინტერესის მქონე საწარმოს იდენტიფიცირების შეფერხება. აუდირებული ფინანსური ანგარიშების შეფერხება ან არწარდგენა. მუნიციპალიტეტის სახელმწიფო საწარმოებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. მუნიციპალიტეტის SOE-ებში ან მათ ზედამხედველობით ორგანოებში ინსტიტუციური მეხსიერების ნაკლებობა	ფისკალური რისკების ანალიზი, თანდართული სახელმწიფო ბიუჯეტზე

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ივლისამდე წარდგენა, ხოლო არააუდიტირებული ფინანსური და სხვა სახის ანგარიშგებების საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარდგენის ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ფისკალური რისკების ანალიზისთვის გამოყენებულ საწარმოთა ჯამურ რაოდენობაში მუნიციპალური ხელისუფლების საწარმოების		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						რაოდენობის წილმა 51,3 პროცენტი შეადგენა, რაც წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელია.		
4	პირობითი ვალდებულებები ს აღრიცხვა, მათ შორის, PPP / PPA-ზე დაფუძნებული ვალდებულებები ს	პირობითი ვალდებულებ ების აღრიცხვა, მათ შორის, PPP / PPA-ზე დაფუძნებულ ი ვალდებულებ ების	PEFA FTE; ფისკალური წესი IMF TA; IMF პროგრამა; WB	PEFA PI 10.3 - B	PEFA PI 10.3 - B (შეფასების შენარჩუნება)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის IPSAS- 32-ის შესაბამისად ახორციელებს ქვეყანაში არსებული PPP პროექტების მთავრობის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასებას.	PPP / PPA- ში ჩართული ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს პირობითი ვალდებულებების არარეალისტური (არასათანადოდ შეფასებული) შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო PPP / PPA პროექტების რისკის შეფასებასა და შეფასების მეთოდოლოგიას	ფისკალური რისკების ანალიზი, თანდართული სახელმწიფო ბიუჯეტზე

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, PPP ვალდებულებები, IPSAS- 32-ის შესაბამისად, შეადგენს 384 576 908 ლარს. ასევე მიმდინარეობს PPA პროექტებიდან მომდინარე მთავრობის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების შეფასებასაც. PPP და PPA პროექტებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფისკალური რისკების დოკუმენტში და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ქვეთავად ყოველწლიურად წარედგინება დასამტკიცებლად პარლამენტს.		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ აზიის განვითარების ბანკის და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით შეიმუშავა და ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 28 აპრილის №100 ბრძანებით დამტკიცდა „საჯარო და კერძო თანამშრომლობის მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელო“. იმის გათვალისწინებით, რომ PEFA-ს 2018 წლის შეფასებასთან შედარებით (PI 10.3 – B) ფისკალური რისკების დოკუმენტი გაფართოვდა და PPP/PPA პროექტების შეფასებასთან ერთად		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						უკვე მოიცავს საჯარო კორპორაციების რისკების, კვაზი- ფისკალური საქმიანობის, ბუნებრივი კატასტროფების და კლიმატის ცვლილების შესახებ ინფორმაციას, PEFA 2021-ს შეფასებისას PI 10.3 – B ქულიდან უნდა გაუმჯობესდეს A-მდე.		
5	ფისკალური რისკების ანალიზის და მართვის მექანიზმების შემუშავება და შემდგომი დახვეწა					ფისკალური რისკების მართვის მიზნით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, ფისკალური რისკების მართვის მიზნით ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის ქვეთავად		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						აქვეყნებს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს. დოკუმენტში ხელმისაწვდომია ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოთა და PPP/PPA პროექტებიდან მომდინარე პირობითი ვალდებულებების და მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შესახებ, კლიმატის ცვლილების გრძელვადიანი ფისკალური რისკების და სასამართლო დავებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასებები და სხვა. სახელმწიფო საწარმოთა დაგეგმილი რეფორმის		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
						ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1012 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 7 ძირითად სახელმწიფო საწარმოსთან მიმართებით მიენიჭა ფინანსური ზედამხედველის როლი, რაც გულისხმობს მათი საქმიანობის ზედამხედველობას, საწარმოთა ბიუჯეტის ძირითად პარამეტრების, დივიდენდების პოლიტიკის, კორპორაციული განზრახვის განაცხადის და კვაზი-ფისკალური აქტივობების შეთანხმებას.		
7	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი							

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
1	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, მენეჯერული ანგარიშვალდებულების პრინციპზე აქცენტებით	საქართველოს სამინისტროებ -ისთვის შემუშავებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის გზამკვლევი.	ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება (279-ე მუხლი); საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი; ევროკომისიის ინიციატივით, კანდიდატი ქვეყნებისთვის შემუშავებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის კონცეფცია (PIFC).	დამტკიცებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია; შემუშავებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სახელმძღვანელო.	შემუშავებულია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მეორე ეტაპის დანერგვის ინსტრუქცია; ცენტრალური სამინისტროების სულ მცირე 50%-ში პილოტურ რეჟიმში მიმდინარეობს დაწესებულების მიზნებისა და ინდიკატორების შემუშავება, ასევე, რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბება.	შემუშავდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მეორე ეტაპის დანერგვის ინსტრუქცია; 6 ცენტრალურ სამინისტროში პილოტურ რეჟიმში დაწესებულების მიზნებისა და ინდიკატორების შემუშავება, ასევე, რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბება.	დონორების ფინანსური მხარდაჭერის შემცირება ან შეწყვეტა; სამიზნე ობიექტში კვალიფიკაციის ნაკლებობა; სტრუქტურული ცვლილებები ცენტრალურ ხელისუფლებაში.	დოკუმენტირებული მიზნები და ინდიკატორები; რისკების რეესტრები.
2	შიდა აუდიტის სუბიექტების განვითარება, როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროების დონეზე	ჩამოყალიბებულია ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა.	PEFA (PI-26); საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო (IPPF).	ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულია გარე შეფასების ინსტრუქცია და კითხვარი.	გარე შეფასება განხორციელებულა ია ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ 3 სამინისტროს, 10 თვითმმართველი ერთეულის, 3 საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და 3 ავტონომიური რესპუბლიკის	შიდა აუდიტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება განხორციელდა 9 ცენტრალურ სამინისტროში, 44 თვითმმართველ ერთეულში, 2 საჯარო სამართლის იურიდიულ პირში და 2 ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროში.	სამიზნე ობიექტში კვალიფიკაციის ნაკლებობა; სტრუქტურული ცვლილებები ადგილობრივ ხელისუფლებაში.	გარე შეფასების ანგარიშები.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
					სამინისტროს შიდა აუდიტის სუბიექტებისათვის ს.	PI-26 – B+ (საჯარო ჯერ არ არის)		
3	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების გაძლიერება შიდა აუდიტის ფუნქციის დახმარებით	გაუმჯობესებულია სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შიდა აუდიტის შეფასების ნაწილი.	PEFA (PI-26); საერთაშორისო პროფესიული პრაქტიკის ჩარჩო (IPPF).	შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობა თვითმმართველ ერთეულებში უმეტესად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და ადგილობრივ საკანონმდებლო მოთხოვნებს; PEFA -ს შეფასებები მერყეობს D დან B+ მდე.	15 თვითმმართველი ერთეულის, სადაც შეფასება იყო B-ზე დაბალი, შეფასების გაუმჯობესება მინიმუმ ერთი ქულით, PEFA-ს PI-26-ე ინდიკატორის მიხედვით.	PI-26 – B+ (არ გასაჯაროებულა PEFA-ს შეფასება მუნიციპალიტეტებში).	სამიზნე ობიექტში კვალიფიკაციის ნაკლებობა; ცვლილება PEFA-ს შეფასების მეთოდოლოგიაში.	სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების ანგარიში.
8	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა							
1	ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება	ინვესტორებისთვის, საბანკო სექტორისთვის, ანალიტიკოსებისთვის, რეგულატორებისთვის, სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2013/34/EU, 2014/56/EU დირექტივები და N 1606/2002 რეგულაცია	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2013/34/EU დირექტივა და N 1606/2002 რეგულაცია ნაწილობრივ ასახულია ქართულ კანონმდებლობაში.	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული 2013/34/EU, 2014/56/EU დირექტივები და N 1606/2002 რეგულაცია სრულად ასახულია ქართულ	ანგარიშგების წარდგენის სისტემის მეშვეობით 68 ათასამდე საწარმოს ანგარიშგება გასაჯაროებული ანგარიშგების პორტალზე (www.reportal.ge). 2021 წლისთვის სდპ, I, II და III	პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური გამართვის დავიანების გამო ვერ განხორციელდა წარდგენილი ინფორმაციის ეფექტური მიღება და დამუშავება; სუბიექტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა	ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge); ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წლიური ანგარიში.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		ს საინვესტიციო , საკრედიტო თუ სხვა გადაწყვეტილებების მისაღებად ან კვლევების ჩასატარებლად საინფორმაციო პლატფორმის შექმნა.		ანგარიშგებების წარდგენის სისტემის მეშვეობით 6556 ანგარიშგება გასაჯაროებულია სამსახურის პორტალზე (www.reportal.ge).	კანონმდებლობაში ; SARAS-ის ანგარიშგებების პორტალზე (www.reportal.ge) სდპ, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის სუბიექტთა მიერ ანგარიშგებების 95%-იანი წარდგენა/გასაჯაროების მაჩვენებელი, ხოლო მეოთხე კატეგორიის საწარმოთათვის 50%-იანი წარდგენის მაჩვენებელი.);	კატეგორიის საწარმოებისთვის 95%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოებისთვის 80%-ია.	არ შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება და არ წარმოადგინა ფინანსური და არაფინანსური ინფორმაცია (ანგარიშგება).	
2.	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული No 952/2013 რეგულაცია და 2006/43/EC დირექტივა	2017 წელს განხორციელდა 17 აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2018 წელს განხორციელდა 5 ხარისხის კონტროლის	ჯამურად განხორციელდა 120 -მდე აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.	2017 წელს განხორციელდა 17 აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2018 წელს განხორციელდა 5 ხარისხის კონტროლის	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ადამიანური რესურსების სიმცირე; პერსონალის კვალიფიკაცია და გამოუცდელობა; დონორის მიერ შეძენილი აუდიტის სახელმძღვანელოს დანერგვის შეფერხება.	აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრი, რომელიც ხელმისაწვდომია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ოფიციალური

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		დაგეგმილია წელიწადში საშუალოდ 30- მდე აუდიტორულ ი ფირმისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ს განხორციელე ბა. საბოლოოდ 2022 წლის ბოლოსთვის 120 -მდე აუდიტორულ ი ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის აუდიტორულ ი მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა აუდიტორულ ი ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი		სისტემის მონიტორინგი. 2019 წელს განხორციელდა 30 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2020 წელს განხორციელდა 30 ხარისხის კონტროლის სიტემის მონიტორინგი. 2021 წელს დასრულდა 10 და მიმდინარეობს 14 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი საბოლოო ჯამში, ამ ეტაპზე დასრულებულია 111 ხარისხის		სისტემის მონიტორინგი. 2019 წელს განხორციელდა 30 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2020 წელს განხორციელდა 30 ხარისხის კონტროლის სიტემის მონიტორინგი. 2021 წელს განხორციელდა 31 ხარისხის კონტროლის სიტემის მონიტორინგი. 2022 წელს დასრულდა 18 და მიმდინარეობს 12 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი		ვებგვერდზე: https://www.saras.gov.ge ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წლიური ანგარიში.

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
		ს მეშვეობით. დაგეგმილია წელიწადში საშუალოდ 30- მდე აუდიტორულ ი ფირმისთვის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი ს განხორციელებ ა. საბოლოოდ 2022 წლის ბოლოსთვის 120 -მდე აუდიტორულ ი ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის		კონტროლის სისტემის მონიტორინგი. მიმდინარე მდგომარეობით, სამსახურმა მესამე კვარტლის ჩათვლით დაასრულა 25 საწარმოს ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა და შედეგები ასახა წერილობით კომუნიკაციაში. კვარტალი - 6 II კვარტალი-12 III კვარტალი-7 წერილობითი კომუნიკაცია: I კვარტალი - 4 II კვარტალი-8 III კვარტალი-7		საბოლოო ჯამში, ამ ეტაპზე დასრულებულია 131 ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.		

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2022 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	მიღწეული შედეგები	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო
3.	ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა	ანგარიშგების ს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორის ო სტანდარტებთ ან შესაბამისობის ხარისხის ზრდა რისკზე დაფუძნებულ ი მიდგომით ანგარიშგებათ ა შემოწმების გზით. დაგეგმილია საშუალოდ 35 ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა.	ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული No 952/2013 რეგულაცია და 2006/43/EC დირექტივა		ჯამურად განხორციელდა 25 საწარმოს ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა. რამოდენიმე სუბიექტის ანგარიშგების დეტალური მიმოხილვა არის მეოთხე კვარტალში მიმდინარე სტატუსით.	ანგარიშგების დეტალური მიმოხილვის პროცესი 2019 წლიდან დაიწყო და 2022 წლის ბოლოსთვის დასრულებულია 80 ანგარიშგების შემოწმება.	სუბიექტის მხრიდან კომუნიკაციის დაყოვნება, თანამშრომლობაზე უარი; პერსონალის კვალიფიკაცია და გამოუცდელობა; დონორის მიერ ჩართული ექსპერტების პროცესებში მონაწილეობის შეფერხება; დონორის ჩართულობით შესამუშავებელი, ანგარიშგების დეტალურ მიმოხილვებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოს მომზადების პროცესის დაყოვნება.	ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge); ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წლიური ანგარიში.

2026 წლისთვის არსებული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულ რამდენიმე უწყებას აქვთ საკუთარი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა:

- ფინანსთა სამინისტროს საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის.
- პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის 2022-2024 წლების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2027 წლებისთვის;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არ მოხდა კონკრეტული სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მუდმივად მუდმივად აუმჯობესებს თავის პროცესებსა და პროცედურებს შიდა და გარე შეფასებების გათვალისწინებით.

რეფორმის დამატებითი მიმართულებები და ღონისძიებები ეფუძნება განხორციელებული დიაგნოსტიკური სამუშაოების შედეგებს.

განახლებულ სტრატეგიულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა მატრიცა იმ სფეროების მითითებით, რომელთა განახლებული სამოქმედო გეგმა მოიცავს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ინიციატივას. ფინანსთა სამინისტროს (დანართი №1) და სხვა ფიზიკური ერთეულების (დანართი №2) სტრატეგიული ჩარჩო მოიცავს:

- პოლიტიკის თითოეული სფეროს სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები
- 2026 წლისთვის დასახული მიზანი
- დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან, როგორიცაა PEFA, TADAT, PIMA და ა.შ.
- საბაზისო მაჩვენებელი
- მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წლისთვის
- შესაძლო რისკები
- დადასტურების წყარო
- შენიშვნა

წარმოდგენილი სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების/ამოცანების დაფინანსება ხორციელდება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) და შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის გათვალისწინებული პროგრამების ასიგნებების ფარგლებში. ზემოაღნიშნული პროგრამები ძირითადად მართვისა და რეგულირების ტიპისაა და სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად მიმართება ადმინისტრაციული (ადამიანური რესურსი) რესურსი.

სტრატეგიას თან ახლავს ძირითადი მიმართულებების და ამოცანების განფასება (ცხრილი 1B), რომელიც მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად. 2018-2022 წლების დაფინანსების მოცულობაში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ გაწეული ხარჯები

დანართი №2 შემუშავებულ იქნა PFM-ის საერთო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი სამივე უწყების მიერ. საქართველოს პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადებული სტრატეგიის მატრიცა საინფორმაციო ხასიათისაა და არ მტკიცდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ. წარმოდგენილ დოკუმენტს იწონებს საჯარო ფინანსების მართვის საკოორდინაციო საბჭო.

პრიორიტეტები და განხორციელების ვადები

ზემოაღნიშნული ანალიზებისა და შეფასებების ფარგლებში პროგრესთან ერთად გამოიკვეთა გარკვეული მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ შემდგომ გაუმჯობესებას. მაღალი, საშუალო მნიშვნელობის მქონე კატეგორიების ძირითადი მიმართულებების მიხედვით მომზადდა 2023-2026 წლების სტრატეგია.

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
1.	ინსტიტუციური დაფარვა	მაღალი მნიშვნელობის	საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოპერაციების კონსოლიდირებული ინფორმაციის სრულყოფილად (საჯარო სკოლები და საბავშვო ბაღები), ასევე საჯარო მმართველობის ერთეულებად კლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოების ასახვა ანგარიშგებაში	საშუალოვადიანი ⁷ პერიოდი
2.	საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩო	მაღალი მნიშვნელობის	საშუალოვადიანი პროგნოზების სიზუსტის, სანდოობის და წლიურ გეგმებთან ძლიერი კავშირების შენარჩუნება. პროგნოზების განახლებისა და ფაქტობრივ მაჩვენებლებთან შედარებითი ანალიზის დახვეწა.	საშუალოვადიანი პერიოდი
3.	ფისკალური დისციპლინა	მაღალი მნიშვნელობის	ფისკალურ წესებთან ფისკალური ინდიკატორების თავსებადობის მუდმივი მონიტორინგი.	საშუალოვადიანი პერიოდი
4.	პირობითი ვალდებულებების ანგარიშგება და კონტროლი	მაღალი მნიშვნელობის	საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) და ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის	გრძელვადიანი ⁸ პერიოდი

⁷ საშუალოვადიანი პერიოდი - 4-5 წლიანი პერიოდი, რომელსაც ფარავს აღნიშნული სტრატეგია და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2023-2026 წლებისათვის

⁸ იგულისხმება პერიოდი, რომელიც ფარავს 5 წელზე მეტ პერიოდს.

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
			ხელშეკრულებებიდან გამომდინარე (PPA) და სხვა ვალდებულებების ანალიზი და ასახვა ფისკალური რისკების დოკუმენტში	
5.	სახელმწიფო საწარმოების მართვა	მაღალი მნიშვნელობის	სახელმწიფო საწარმოების მართვის ერთიანი სისტემის სრულყოფილი დანერგვა, მათ შორის კორპორაციებად კლასიფიცირებული საწარმოების მართვის მოდელის შესაბამისობა სახელმწიფო საწარმოების მართვის სტრატეგიასთან.	გრძელვადიანი პერიოდი
6.	აქტივების მთლიანი მოცულობების მართვა/იდენტიფიცირება	საშუალო მნიშვნელობის	არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაციის მოგროვების და ამ აქტივების მართვის ერთიანი გეგმის შემუშავება და განხორციელება	გრძელვადიანი პერიოდი
7.	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღრიცხვა და კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგებები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	საშუალო მნიშვნელობის	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; დანერგილია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა	გრძელვადიანი პერიოდი
8.	საინვესტიციო პროექტების მართვა	საშუალო მნიშვნელობის	საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი და გამართული ციკლის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოს პროექტების პრიორიტიზირებას ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე	გრძელვადიანი პერიოდი

	დასახელება	კატეგორია	შინაარსი	ვადა
9.	შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვა და შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის სრულყოფილი დანერგვა	საშუალო მნიშვნელობის	მხარჯავ დაწესებულებებში დაინერგება შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და შედეგზე ორიენტირებული მიდგომების დახვეწას	გრძელვადიანი პერიოდი
10.	ადგილობრივი თვითმმართველობები	საშუალო მნიშვნელობის	მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო ფინანსების მართვის ოპერაციების დაგეგმვა, აღრიცხვა და ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად; მუნიციპალიტეტების და ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო ფინანსებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის გაზრდა	საშუალოვადიანი პერიოდი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების სტრატეგიების განხორციელება იგეგმება საშუალო და მოკლევადიან პერიოდში.

PFMRS-ის საკოორდინაციო მექანიზმი

2010 წლიდან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩამოყალიბდა და ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელების საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ასევე საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და განიხილავს რეფორმასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, როგორიცაა სტრატეგიები და წლიური სამოქმედო გეგმები. საბჭო ასევე განიხილავს აღნიშნული სამოქმედო გეგმების შესრულებას.

თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საბჭოს დამატებითი სხდომის მოწვევა, რომლის დროსაც განიხილავენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა რეფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე არასამთავრობო სექტორის კვლევა და შეფასება. აღნიშნული ფორმატი ხელს უწყობს რეფორმებში ჩართულ ყველა მხარეს შორის კომუნიკაციას, ასევე დონორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს.


დოკუმენტის სტრუქტურა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია ეფუძნება საქართველოს PFM-ის სისტემებში არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების ძირულ ანალიზს PEFA-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით ცენტრალური მთავრობის და მუნიციპალიტეტის დონეზე. PEFA-ის შეფასებები განხორციელდა მსოფლიო ბანკის მიერ. გარდა ამისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოიყენა TADAT-ის მეთოდოლოგია და PIMA-ის მეთოდოლოგია, რომლითაც მოხდა PEFA-ის საგადასახადო და საინვესტიციო მაჩვენებლების დეტალური ანალიზი. სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ასევე აქვს უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საქმიანობის შეფასების ჩარჩო (SAI PMF) და შედეგები შესულია მის 2018- 2022 წლების სტრატეგიაში.

თავი II ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს და შემდგომ შემუშავებულია *დანართი №1* მატრიცის სახით, რომელიც მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს / ქმედებებს კონკრეტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით 2023-2026 წლებისთვის და აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო განფასებას. *დანართი №2* ეფუძნება ცალკეული ერთეულების სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებს: პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი და საბიუჯეტო ოფისი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამოიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს / ქმედებებს კონკრეტულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით 2023-2026 წლებისთვის და აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის განფასებას. *დანართში №3* წარმოდგენილია 2018 წლის PEFA-ს შეფასებების ანალიზი.

ქვემოთ მოცემული მიზნები და პრიორიტეტები განსაზღვრავენ ძირითად ჩარჩოებს არსებული რისკების დაძლევისთვის საჭირო რეფორმების გასატარებლად. წინამდებარე სტრატეგიის განხორციელების საფუძველი გახდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც დეტალურად აღწერენ რეფორმების გასატარებლად საჭირო ღონისძიებებს.

საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საჯარო ფინანსების მართვით უზრუნველყოფილი იქნეს:



II. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები

ფინანსთა სამინისტროს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია მოიცავს რვა თემატურ მიმართულებას:

1. ბიუჯეტირება
2. მთავრობის ვალის მართვა
3. ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება
4. საგადასახადო და საბაჟო საკითხები
5. მაკროეკონომიკური და ფისკალური პოლიტიკა
6. ფისკალური რისკები
7. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი
8. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა

1. ბიუჯეტირება

გასული წლების მანძილზე გატარდა რეფორმები საჯარო ფინანსების მართვის სრულყოფის, მათ შორის საბიუჯეტო სისტემის დახვეწის მიმართულებით. საჯარო ფინანსების ეფექტიანი მართვისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული მიზნები და ღონისძიებები. აღნიშნული უზრუნველყოფს სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

2005 წლიდან დაიწყო ხარჯების საშუალოვადიანი დაგეგმვის ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომლის

მიზანი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების წარმოდგენა არა ერთწლიან, არამედ მრავალწლიან პერსპექტივაში, რაც ასევე დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. 2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო **საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი**, რომელშიც თავი მოიყარა საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების მარეგულირებელმა დებულებებმა. მოწესრიგდა საბიუჯეტო სისტემის საკანონმდებლო ჩარჩო, დეტალურად გაიწერა საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო კალენდარი. განისაზღვრა საშუალოვადიანი დაგეგმვისა და წლიური ბიუჯეტის როლი საბიუჯეტო პროცესში.

რეფორმები უზრუნველყოფდა პოლიტიკის მიმართულებებს შორის კავშირების გაუმჯობესებას; დაინერგა საშუალოვადიანი დაგეგმვა. 2012 წლიდან დაიწყო საბიუჯეტო პროცესში **პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვა**. 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, ხოლო 2013 წლიდან ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები მზადდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით. 2015 და 2018 წლებში განახლდა პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, როგორც ფორმატის, ასევე შინაარსობრივი კუთხით. უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები თანამედროვე კარგი პრაქტიკის და მეტი გამჭვირვალობის დანერგვის მიზნით. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების, წლიური ბიუჯეტისა ქვეყნის ძირითადი მონაცემების დამიმართულებების დოკუმენტის შესაბამისობა. საბიუჯეტო დოკუმენტაციაში **გაიმჯნა საბაზისო და ახალი პოლიტიკის მიმართულებები**. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტში ცალკე გამოიყო სამინისტროების მიერ განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში ახალი პოლიტიკის მიმართულებები და შესაბამისი ფისკალური გავლენის შესახებ ინფორმაცია. ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) დაინერგა პროგრამების/ქვეპროგრამების სხვადასხვა **პოლიტიკის მიმართულებებთან კავშირების (Tagging) მექანიზმი** და შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის დანართში გაჩნდა პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირები სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებებთან (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), გენდერული ასპექტები, კლიმატის ცვლილებებთან და სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებული საკითხები) დაკავშირების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ანგარიშგების ხარისხის** გაუმჯობესების მიმართულებით. შესრულების ანგარიშგება საშუალებას იძლევა შეფასდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებული პროგრამები/ქვეპროგრამები დაგეგმილ შედეგებთან და ინდიკატორებთან მიმართებაში, ისევე როგორც იძლევა ინფორმაციას დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებულ გადახრის გამომწვევ მიზეზებზე.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მომზადების, აღსრულებისა და შესრულების ანგარიშგების წარმოებისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს **ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (eBudget)**, რომლის ჰარმონიზება მოხდა ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), რაც საშუალებას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტსა და სახაზინო სამსახურს რეალურ დროში აკონტროლონ და მართონ სახელმწიფო სახსრები.

სახელმწიფო ფინანსების კონსოლიდირებული მართვის მიზნით განხორციელდა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების დაგეგმვის, აღსრულების და შესრულების ანგარიშგების გაერთიანება სახელმწიფო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, ხაზინის ანგარიშთა სისტემის მეშვეობით და მათი ჩართვა წლიური ბიუჯეტის საბიუჯეტო პროცესში. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, 2015 წლის 1 იანვრიდან **ერთიან ელექტრონულ**

სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი (სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტების) და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად, როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე. რეფორმის შედეგად გაფართოვდა საბიუჯეტო ორგანიზაციის ტერმინის ქვეშ გათვალისწინებული დაწესებულებების წრე და საბიუჯეტო კოდექსის რეგულირების სფერო ვრცელდება საბიუჯეტო ორგანიზაციის ყველა დონეზე (საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული) გარდა სამეწარმეო სტატუსის მქონე იურიდიული პირებისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქვეყანაში **საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის** ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით. 2016 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესებსა და პროცედურებს, განსაზღვრავს მონაწილე უწყებების როლებსა და პასუხისმგებლობებს სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა შემოთავაზებული კაპიტალური ინვესტიციები თანმიმდევრულად და დადგინდეს პროექტების პრიორიტეტულობა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკის, ისე დარგობრივი მიმართულებებით. 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობდა საერთაშორისო პარტნიორების (WB, EU, IMF) მხარდაჭერა, როგორც ტრენინგების ორგანიზების და ჩატარების, ასევე მეთოდოლოგიური და პროცესების მართვის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 2019 წელს განახლდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და გავრცელდა ყველა საინვესტიციო პროექტზე დადგენილი ზღვრის ფარგლებში დაფინანსების წყაროს მიუხედავად, ასევე გაუმჯობესდა რეგულაციები პროცესების უფრო ეფექტიანად მართვის მიმართულებით. 2022 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასება (Public Investment Management Assessment – PIMA) და მომზადდა რეკომენდაციები მიმდინარე რეფორმის სრულყოფილად დანერგვის მიზნით.

საქართველომ შთამბეჭდავ წარმატებას მიაღწია **ბიუჯეტის გამჭვირვალობის** მიმართულებით და 2021 წლის ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაციის (International Budget Partnership) მიერ ბიუჯეტის გამჭვირვალობის შეფასებით პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის, რაც საჯარო ფინანსების მართვის სფეროში თანმიმდევრული და სწორად დაგეგმილი რეფორმების შედეგია. არანაკლებ ხაზგასასმელია საქართველოს პოზიცია ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაციის (International Budget Partnership) შეფასებით ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, რაც განვითარებული ქვეყნებისთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, ამ მიმართულებით საქართველო მე-12 ადგილს იკავებს მსოფლიოში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე მომზადებული საბიუჯეტო დოკუმენტაცია ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე. 2016 წლიდან, რეგულარულად მზადდება წლიური ბიუჯეტის კანონის მოქალაქის გზამკვლევი და დონორების მხარდაჭერით ხორციელდება მისი ბეჭდური სახით გამოცემა და გავრცელება.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **ანგარიშვალდებულების გაძლიერების** მიმართულებით. 2015 წლიდან ყოველწლიურად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს სამოქმედო გეგმას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის თაობაზე (რომელსაც მთავრობის დადგენილებით

ამტკიცებს საქართველოს მთავრობა).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) 2019-2021 წლების შეფასების ანგარიშში ასახულია საჯარო ფინანსების მართვის სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგები. 2018 წლის შეფასებასთან შედარებით შეფასების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული, რაც ადასტურებს 2018-2022 წლების საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიით ბიუჯეტირების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მიერ განხორციელებული შეფასებები, საშუალებას იძლევა გაანალიზდეს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ჩარჩოს ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებები და ამავდროულად წარმოადგენს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების საფუძველს რეფორმების თანმიმდევრულად და სწორად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით. ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული მიზნები და ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას; სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას.

ამოცანები და მიზნები

1.1 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა

რეფორმა მიზნად ისახავს 2023-2026 წლებისათვის საშუალოვადიანი დაგეგმვის გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას. უზრუნველყოფილი იქნება:

- საქართველოს მთავრობის პროგრამისა და სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების თავსებადობა საშუალოვადიან პარამეტრებთან;
- მდგრადი და ეფექტიანი საშუალოვადიანი (არანაკლებ 4 წლიანი) საბიუჯეტო დაგეგმვა, რომელიც მოიცავს:
 - ✓ ფისკალური პარამეტრების კანონმდებლობით დადგენილ ფისკალურ წესებთან თავსებადობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენა;
 - ✓ საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზების წარმოდგენა არსებული პოლიტიკის (საბაზისო ინფორმაცია) და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში;
 - ✓ წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა;
 - ✓ ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, სხვა ქვეყნებში დანერგილი კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, მსხვილი პროგრამების შერჩევა, შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში პროგრამების/ქვეპროგრამების განახლება.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით გაგრძელდება სამუშაო შეხვედრები სამინისტროების წარმომადგენლებთან საბიუჯეტო პროცესის კოორდინირების და სრულფასოვნად წარმართვის მიზნით.

1.2 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება

გაგრძელდება აქტიური მუშაობა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ეფექტური სისტემის დანერგვის მიმართულებით. თითოეული პროექტის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება მოხდება სათანადო კვლევისა და ანალიზის საფუძველზე და ყველა ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი, რომელიც გათვალისწინებულ იქნება წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში და საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოში, გაივლის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამის ეტაპებს. სისტემის დანერგვა საშუალებას მოგვცემს საინვესტიციო პროექტები წინასწარი შერჩევის ეტაპიდან მათი შესრულების შემდგომი შეფასების ეტაპის ჩათვლით განხორციელდეს დადგენილი მეთოდოლოგიით, წინასწარ განსაზღვრული პასუხისმგებელი სტრუქტურებისა და პირების მიერ.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მხარდაჭერით დაინერგება საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული სისტემა (ePIM), რომელიც ინტეგრირებული იქნება ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემასთან (ebudget), რაც ხელს შეუწყობს პროცესის ეფექტურად და სწორად მართვას. ამავდროულად გაუმჯობესდება სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანად გამოყენება.

გამლიერდება აღნიშნული პროცესის კოორდინაციის მექანიზმი. გაგრძელდება შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება პროცესში მონაწილე უწყებების კადრების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით (მათ შორის, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით).

1.3 შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება

ფინანსთა სამინისტრო გააგრძელებს მხარჯავი დაწესებულებების მხარდაჭერას პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი დახვეწის მიმართულებით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით რაც ხელს შეუწყობს როგორც პროგრამული ბიუჯეტის ფორმატის, ასევე შინაარსობრივ დახვეწას და როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე შესრულების შეფასების პროცესში მათ ძირითად ინსტრუმენტად გამოყენებას. აღნიშნული მიმართულება აუცილებელია დაიგეგმოს შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის პარალელურად და მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული მხარჯავი დაწესებულების შიგნით თითოეულ შედეგზე პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და დაინერგოს შიდა ანგარიშგების ძლიერი სისტემა.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მხარდაჭერით მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ძირითადი პრინციპების განხილვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის შემდგომ გაუმჯობესებას.

1.4 ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა

გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიმართულებით. ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით. გაგრძელდება მუშაობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ჩართულობის სრულყოფილად დანერგვის მიმართულებით.

გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევის შემუშავება. გათვალისწინებული იქნება ღია ბიუჯეტის კვლევის და სხვა გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების მოთხოვნები რეფორმის შემდგომი ეტაპებისათვის.

ბიუჯეტის კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებაში გაძლიერდება ანგარიშგება დასახულ მიზნებსა და შედეგებთან მიმართებაში და წლიური შედეგების საშუალოვადიან გეგმებთან თავსებადობის კუთხით.

განხორციელდება სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული საწარმოების, ასევე სკოლებისა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გადმოსვლა ხაზინის ერთიანი სისტემის მომსახურებაზე;

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ჩართულობა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში შემუშავებული ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით.

განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით, მათ შორის, დონორების და საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მხარდაჭერით.

1.5 მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

ფისკალური დეცენტრალიზაციის რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა მუნიციპალიტეტების მეტი დამოუკიდებლობისა და მათი ფინანსების უკეთესი პროგნოზირებადობის მიმართულებით. ჩატარდება სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, მათ შორის დონორების მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის, მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით;

მუნიციპალიტეტების შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის - პროგრამული ბიუჯეტირების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, განახლდება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რაც ხელს შეუწყობს პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმებისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესისა და ფორმატის დახვეწას;

მუნიციპალიტეტების ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) შედეგების გათვალისწინებით განახლდება მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში დაგეგმილი სამიზნე მაჩვენებლები და შედეგების გაუმჯობესების შესაბამისად მუნიციპალიტეტები მიიღებენ დამატებით დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინასწარ განსაზღვრული ოდენობით.

1.6. სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება

სტრატეგიულ და პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდება პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორის ინტეგრირება, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც მხარჯავ დაწესებულებებს თავიანთი პროგრამები/ქვეპროგრამები/ღონისძიებები მიუსადაგონ შესაბამის პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორს (მაგალითად: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირება, კლიმატის ცვლილება, ენერგოეფექტურობა, მწვანე ბიუჯეტირება და ა.შ.).

შედეგად, შესაძლებელი იქნება შესაბამისი ანგარიშგების წარმოება ცალკეული კლასიფიკატორის მიხედვით, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატში.

2. მთავრობის ვალის მართვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის წამყვანი უწყება საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის მიღების კუთხით. აღნიშნული თანამშრომლობის ძირითადი ამოცანაა დონორთა მხარდაჭერის ეფექტიანობის გაზრდა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების და პროგრამების მორგება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტებზე. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისაგან ფინანსური რესურსის მოზიდვა მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით, რათა შენარჩუნებულ იქნას მთავრობის ვალის არსებული ხელსაყრელი პარამეტრები.

2008 წელს ფინანსთა სამინისტრომ განახორციელა ევროობლიგაციების სადებიუტო გამოშვება. აღნიშნულმა ტრანზაქციამ ქვეყანა გააცნო საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებს და მრავალ მსხვილ ინსტიტუციონალურ ინვესტორს და შესაბამისად წარმოადგენდა ქვეყანაში დივერსიფიცირებული კაპიტალის შემოდინების წახალისების სტრატეგიის ერთ-ერთ საკვანძო ელემენტს. 2011 წელს საქართველომ წარმატებით გამოუშვა მეორე, 10-წლიანი ევროობლიგაცია რომლის ფინანსური პარამეტრები მიმზიდველობის თვალსაზრისით გაუთანაბრდა უფრო მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე სუვერენული სახელმწიფოების ფასიან ქაღალდებს. ამ ტრანზაქციის ფარგლებში მოხდა 2008 წელს გამოშვებული 5-წლიანი ევროობლიგაციის წინსწრებით გამოსყიდვა. 2021 წლის აპრილში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სახელით, რიგით მესამე, 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 5 წლიანი ვადიანობის მქონე ევროობლიგაციების ემისია განახორციელა. ფასდადების განმავლობაში დაფიქსირებული მოთხოვნა 4-ჯერ აღემატებოდა განსათავსებელ მოცულობას. აღსანიშნავია, რომ საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 2.750%, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ძველ ევროობლიგაციებზე დაფიქსირებულ პროცენტს, 6.875%-ს.

სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ლარში დენომინირებული მთავრობის ფასიანი ქაღალდები. სამინისტრო აწარმოებს სახაზინო ვალდებულებების და ობლიგაციების ემისიას შიდა ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ფასიანი ქაღალდების ემისია აგრეთვე უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული მაღალი სანდოობის მქონე კაპიტალის მოზიდვის გზით. შიდა კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით და ინვესტორთა მხრიდან არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეტაპობრივად ახორციელებს 6-დან 10-წლამდე ვადიანობის მქონე სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიას.

არსებული მდგომარეობით, საქართველოს რეზიდენტებიდან, ძირითადად კომერციული ბანკები ფლობენ მთავრობის ფასიან ქაღალდებს. თუმცა, იმისათვის, რომ განვითარდეს მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზარი უნდა მოხდეს ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების დაინტერესება და მოზიდვა. უცხოელი ინვესტორებისთვის, ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია მცირე ზომის და განუვითარებელი მეორადი ბაზარი. ამასთანავე, ბაზარზე ფასიანი ქაღალდების არსებული მოცულობები ვერ უზრუნველყოფს მსხვილი საინვესტიციო ფონდების დაინტერესებას. შესაბამისად, რაც უფრო გაიზრდება თითოეული ემისიის მოცულობა და მთავრობის ფასიანი ქაღალდების ჯამური ემისია, მით უფრო გაიზრდება უცხოელი ინვესტორების მოთხოვნა, შემცირდება საპროცენტო განაკვეთები და ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული რისკები.

ზემოხსენებული შემაფერხებელი ფაქტორების საპასუხოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2018 წლიდან მთავრობის ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე.წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარული ემისია დაიწყო. ბენჩმარკ ბონდი ზრდის პირველადი ბაზრის პროგნოზირებადობას,

ემისიის გაზრდილი მოცულობა ხელს უწყობს მეორად ვაჭრობებს, მსხვილი საინვესტიციო ფონდების დაინტერესებას და წარმოადგენს ერთგვარ ნიშნულს კორპორატიული ბაზრის მონაწილეებისათვის. შესაბამისად იგი არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისათვის.

ბენჩმარკ ობლიგაციების გაზრდილი მოცულობების შედეგად წარმოქმნილი რეფინანსირების რისკის სამართავად 2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პირველად განახორციელა გამოსყიდვის (Buy-Back) ოპერაციები. ვალდებულებების მართვის მიზნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ გამოსყიდვის ოპერაციებმა მიიღოს რეგულარული ფორმა და გათვალისწინებულ იქნას წლიურ კალენდარში.

მეორადი ბაზრის განვითარების მიზნით, 2020 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ეროვნულ ბანკთან ერთად, მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით დაიწყო პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის დანერგვა. აღნიშნული პროგრამა საწყის ეტაპზე მოიცავს მხოლოდ 5 წლიან სახაზინო ობლიგაციებს. დროთა განმავლობაში, პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა გარდაიქმნება პირველადი დილერების სრულ სისტემად რაც გულისხმობს მის გავრცელებას ყველა ვადიანობის სახაზინო ვალდებულებებსა და ობლიგაციებზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ პირველად გამოაქვეყნა მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგია. სტრატეგია ასახავს საქართველოს მთავრობის გეგმას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარება და ვალის მართვის მიზნების მიღწევა. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის განახლება და გამოქვეყნება მოხდეს ყოველწლიურად.

ამოცანები და მიზნები

2.1 მთავრობის ვალის მართვა ვალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტის განახლება მოხდება ყოველწლიურად და მოიცავს მთავრობის პოლიტიკას მთავრობის ვალის მართვის მიზნების მიმართულებით და ვალის მართვის სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნების და ამოცანების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმას, მთავრობის ვალის პორტფელის სასურველი კომპოზიციის მისაღწევად.

- უზრუნველყოფილი იქნება მთავრობის ვალის მართვის პოლიტიკის გამჭვირვალობა; და
- გაიზრდება აღნიშნულ საკითხზე კრედიტორების, ინვესტორების, სარეიტინგო სააგენტოების და საზოგადოების ინფორმირებულობა.

2.2 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება

მთავრობის ვალის ეფექტიანად მართვისა და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით მიმდინარეობს "საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ" კანონის განახლება. კანონის განახლების პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შექმნის და განახლების პროცესი.

2.3 მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

ვალდებულებების მართვის ოპერაციების ახალი ინსტრუმენტის - გაცვლის ოპერაციების (Switch) დანერგვა. აღნიშნულ ახალ ინსტრუმენტთან ერთად მნიშვნელოვანია განხორციელდეს ვალდებულებების მართვის ინსტრუმენტის, გამოსყიდვის (Buy-Back) ოპერაციების რეგულარული გამოყენება. ზემოხსენებული ინსტრუმენტები ხელს შეუწყობს ვალის პორტფელის ეფექტურ მართვას, რეფინანსირების რისკების მართვას/შემცირებას, მთავრობის ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ზრდას და ასევე ხელს შეუწყობს ე.წ. ბენჩმარკ ბონდების გამოშვების პოლიტიკას. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება და ინიცირება.

პირველადი დილერების საპილოტე სისტემის გაფართოება. არსებული მდგომარეობით პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა მოიცავს ძირითადად 2 და 5 წლიანი ვადიანობის მქონე ბენჩმარკ სახაზინო ობლიგაციებს. დაგეგმილია, რომ დროთა განმავლობაში მოხდეს პროგრამის პირველადი დილერების სრულ სისტემასთან დაახლოება. სრულფასოვანი პირველადი დილერების სისტემის დანერგვა უზრუნველყოფს გაზრდილ აქტივობას, როგორც პირველად, ისე მეორად ბაზარზე. ყოველივე ზემოხსენებულის შედეგად შეიქმნება დივერსიფიცირებული ინვესტორთა ბაზა.

3. საჯარო სექტორში აღრიცხვა და ანგარიშგება

საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის ფარგლებში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ეტაპობრივი დანერგვა დაიწყო 2009 წლიდან, როდესაც ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმა, რითიც განისაზღვრა სტანდარტების დანერგვის ეტაპები და ვადები. თავდაპირველად აღნიშნული რეფორმა ხორციელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებში. 2017 წლიდან IPSAS სტანდარტების დანერგვა დაიწყო ავტონომიურ რესპუბლიკებში, მუნიციპალიტეტებსა და მათ დაქვემდებარებულ ერთეულებში (ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის #485 ბრძანება IPSAS სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ), რეფორმის მხარდასაჭერად, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 19 თებერვლის N38 დადგენილების საფუძველზე, შექმნილია მთავრობის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო - საქართველოს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო სექტორში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ქართულ ენაზე ოფიციალურად ითარგმნება და ხელმისაწვდომობისთვის ქვეყნდება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციებში 2012 წლიდან ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში, მუნიციპალიტეტებსა და მათ დაქვემდებარებულ ერთეულებში 2017 წლიდან ეტაპობრივად ხორციელდებოდა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დანერგვა. 2012 წლიდან ყოველწლიურად მზადდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ცენტრალური მთავრობისათვის, რომელიც ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნდება სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.gov.ge. სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე 2021 წლიდან ასევე ქვეყნდება ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ფინანსური მონაცემები. 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული 24 IPSAS სტანდარტის შესაბამისად მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელსაც თანდართული აქვს

დანართების სახით ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები. ამასთან, სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, ყოველწლიურად მიმდინარეობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერთა კვალიფიკაციის ამაღლება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე.

აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დონეზე, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე არსებული სააღრიცხვო სისტემა, ასევე, საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა კვალიფიკაციის დონე სრულყოფილად ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რისთვისაც საჭიროა შემდგომი ღონისძიებების განხორციელება სახელმწიფო ფინანსების მართვის პრაქტიკის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 15 ივნისის N483 ბრძანების საჯარო სექტორში დანერგილია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N578 ბრძანებით დამტკიცებულია „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შესახებ“ ინსტრუქცია. ელექტრონული ხაზინის დანერგვის შედეგად გაუქმდა რეგიონული ხაზინის სამსახურები და ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციები (როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში) ეტაპობრივად გადმოვიდნენ ახალი ტიპის სისტემაზე.

2011 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ხაზინასა და მის მომსახურებაზე მყოფ ორგანიზაციებს შორის მოქმედებს მხოლოდ ელექტრონული საგადახდელო სისტემა. ახალ სისტემაზე გადასვლის შედეგად საბიუჯეტო სახსრების მართვის პროცესში თითქმის საერთოდ გაუქმებულია ქაღალდის დოკუმენტების მოძრაობა საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და სახაზინო სამსახურს შორის, რამაც გამოიწვია დროისა და ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი დაზოგვა, ასევე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი და გაიზარდა პროცესების გამჭვირვალობის დონე.

2015 წლის 1 იანვრიდან, მუნიციპალიტეტების, ავტონომიური რესპუბლიკების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ააიპ) ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევის მიზნით, დაიწყო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის გაფართოვება. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე ეტაპობრივად გადმოყვანილ იქნა ავტონომიური რესპუბლიკები და მუნიციპალიტეტები და მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები (გარდა საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღებისა). რეფორმის შედეგად, ხაზინის მომსახურებით მოსარგებლე ორგანიზაციათა რაოდენობა 450-დან 1647 უწყებამდე გაიზარდა. საბიუჯეტო ორგანიზაციების შემოსულობების სწორად და დეტალურად აღრიცხვისათვის შეიქმნა ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდები, ასევე, ყველა მათგანს ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის შიგნით გაეხსნათ ანგარიშები, შემუშავდა ამ ანგარიშებზე სახსრების კონტროლის მექანიზმები.

სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დღეისათვის ინტეგრირებულია ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების მოდულები. ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეს სისტემა უზრუნველყოფს საბიუჯეტო ოპერაციების განხორციელებას და საიმედო ანგარიშგებების წარმოებას დროის რეალურ რეჟიმში. აღნიშნული მოდულებია:

- ბიუჯეტირების ელექტრონული მოდული (eBudget) - აღნიშნული მოდულის საშუალებით ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და

ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების ფინანსური მონაცემების მართვა.

- ვალის მართვის სისტემის ელექტრონული მოდული (eDms) - აღნიშნული მოდული გამოიყენება დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის. სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო ვალის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულს, სადაც მოცემულია სახელმწიფო ვალისა და გრანტების შესახებ ყველა სახის ინფორმაცია;
- საკადრო რესურსების მართვის სისტემის ელექტრონული მოდული (eHrms) - აღნიშნული მოდული გამოიყენება საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ელექტრონული მართვისათვის, სადაც მოცემულია ორგანიზაციული სტრუქტურა, სამტატო განრიგი, თანამდებობრივი სარგო, დანიშვნა/გათავისუფლების თარიღები და ა.შ;
- შემოსავლების სამსახურთან ელექტრონული მოდული - აღნიშნული მოდული გამოიყენება ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების, დეპოზიტების სახით განთავსებული თანხების დაბრუნების ან ბიუჯეტში გადატანის ოპერაციების ელექტრონულად განხორციელებისათვის;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული მოდული - აღნიშნული მოდულის საშუალებით შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სისტემიდან რეგისტრირებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ხაზინის სისტემაში ჩამოტვირთვა, ასევე ელექტრონული ხაზინიდან ორგანიზაციების მიერ ხელშეკრულებების მიხედვით განხორციელებული გადახდების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის დროის რეალურ რეჟიმში მიწოდება და ა.შ.

ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით პერიოდულად ხორციელდება საბიუჯეტო ორგანიზაციების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლების ტრენინგები და იმართება საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები.

ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ხაზინას აქვს შესაძლებლობა საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული ელექტრონული სისტემიდან მიიღოს უფრო სრულყოფილი, დროული და სარწმუნო ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების და არსებული ფინანსური რესურსების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები, ასევე, მათ მიერ დაფუძნებული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები დღესდღეობით სახაზინო სამსახურის მომსახურებაზეა, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირების გარკვეული ნაწილი (საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების სახით) სისტემის გარეთ რჩება. გარდა ამისა, დღესდღეობით სისტემაში სრულყოფილად არ ფუნქციონირებს დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ყველა ოპერაციის ორმაგი ჩაწერის პრინციპით ასახვა IPSAS სტანდარტებზე დაფუძნებული ანგარიშთა გეგმის გამოყენებით. სრულ ფინანსურ ინფორმაციაზე დროული წვდომა კი თავის მხრივ, გააუმჯობესებდა ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და გამჭვირვალობის ხარისხს.

ამოცანები და მიზნები

3.1 აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმა საჯარო სექტორში

საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების რეფორმის ფარგლებში, განხორციელდება შემდეგი

ლონისძიებები:

- დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება საჯარო სექტორში;
- IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, საჯარო სექტორის ბუღალტერთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება დამატებით შემოღებულ IPSAS სტანდარტებში;
- საჯარო ფინანსების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მთლიანი მთავრობისათვის და გამოქვეყნება სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე.

3.2 ხაზინის ელექტრონული სისტემის (eTreasury) განვითარება

2010 წელს შემუშავებული ხაზინის ელექტრონული სისტემა მუდმივად განახლების და შემდგომი გაფართოების პროცესშია. იგეგმება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების სრულად განვითარება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ოპერაციის თუ მოვლენის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასახვას, IPSAS სტანდარტებზე დაფუძნებული ერთიანი ანგარიშთა გეგმის შემოღებას და მთავრობის ფინანსური მდგომარეობის და შედეგების შესახებ ინფორმაციის მომზადების შესაძლებლობას დროის რეალურ რეჟიმში. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების გაზრდას და მენეჯმენტისთვის ინფორმაციის მომზადებას სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან ხარჯვაზე გადაწყვეტილებების მისაღებად.
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება და საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული სხვა დამატებითი სისტემების ერთ სივრცეში ინტეგრირება;
- საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებისა და გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით, მათი ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირება;
- ხაზინის ელექტრონული სისტემის მიმდინარე ბიზნეს-პროცესების დახვეწა, გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება;
- ხაზინის ელექტრონული სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის/გაუმჯობესების მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

4. საგადასახადო და საბაჟო საკითხები

საქართველოს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის, მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას. სტრატეგიულ სამიზნეს წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საგადასახადო სისტემის სიმარტივე, სიცხადე, სამართლიანობა, სრულყოფილება და განაკვეთების ოპტიმალური ღონე.

ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა შემდეგი საგადასახადო რეფორმები:

- საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან, მისი ოპტიმიზაციის მიზნით ბუნდოვანი და ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის მომცემი დებულებების აღმოფხვრა, გადასახადის გადამხდელთათვის სანქციების ლიბერალიზაცია, საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.
- ეტაპობრივად 3 წლამდე შემცირდა საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადები;
- განხორციელდა ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის შეზღუდვა (დეკრიმინალიზაცია);
- შემსუბუქდა სანქციები საკონტროლო-სალარო აპარატის და სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის წესები დარღვევისათვის, აგრეთვე დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის;
- საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ერთწლიანი ვადა გაიზარდა 3 წლით;
- განხორციელდა მოგების გადასახადის რეფორმა, რომლის შედეგად ამოქმედდა ახალი დაბეგვრის მოდელის დებულებები; კერძოდ, მოგების გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება და განსაზღვრული კატეგორიის ხარჯები/გადახდები.
- კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ფიზიკური პირები და არარეზიდენტები თავისუფლდებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით და სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, თუ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე.
- 2021 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა დღგ-ის კარის ახალი რედაქცია, რის შედეგადაც მოხდა დღგ-ის ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროპის საბჭოს 2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო სისტემის შესახებ.
- მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსის შესახებ, რომლის ფარგლებშიც კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით.

მიღებულია ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც შეესაბამება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის (EU) No 952/2013 რეგულაციას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ევროკავშირის საბაჟო კოდექსი და 2009 წლის 16 ნოემბრის საბჭოს (EC) N1186/2009 საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე ევროკავშირის სისტემის შექმნის შესახებ რეგულაციას. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა სრულად პასუხობს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვანი სტიმული გახდება ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე.

ახალი საბაჟო კოდექსით გამარტივებულია საქართველო-ევროკავშირის შორის საბაჟო ფორმალობები, კერძო სექტორს შეუმცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დანახარჯები, საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, შექმნილია ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემო, მარტივი და სამართლიანი წესები.

ახალი საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან სიახლეებს, როგორც არის საბაჟო პროცედურების გამარტივება, მოქმედებს მარტივი გაფორმების ახალი წესები და დეკლარირების ფორმები, შექმნილია გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების შესაძლებლობა, საბაჟო გადაწყვეტილების მიღების დროს, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული გადამხდელის ინტერესები, შესაძლებელია გარანტიის ახალი სახის (თავდებობა) გამოყენება, შექმნილია მნიშვნელოვანი წინაპირობა, ბიზნესმა გამარტივებული საბაჟო პროცედურებით ისარგებლოს ევროკავშირისა და სხვა ქვეყნებში.

2014-2022 წწ. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების არეალის გაფართოებაზე. აღნიშნულ პერიოდში ძალაში შევიდა „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ შეთანხმებები შემდეგ სახელმწიფოებთან: შვედეთი, პორტუგალია, ბელარუსი, ისლანდია, კვიპროსი, კორეა, ლიხტენშტაინი, მოლდოვა, საუდის არაბეთი, იაპონია და ჰონგ კონგი. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან. ამასთან, გაიმართა მოლაპარაკებები და მოხდა შეთანხმების ტექსტის პარაფირება მაროკოსთან და ხელი მოეწერა განახლებულ შეთანხმებას პოლონეთთან.

2014-2016 წლებში გლობალური ფორუმის მიერ განხორციელდა საქართველოს იურისდიქციის შეფასება გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 2016 წლის 11 მარტს გლობალური ფორუმის მიერ დამტკიცებულ იქნა მეორე ფაზის ანგარიში. საგადასახადო გამჭვირვალობის და ინფორმაციის გაცვლის სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტს. 2017 წლიდან საქართველო აქტიურად მუშაობს 2022 წლისთვის დაგეგმილი შეფასებების მე-2 ფაზისათვის, ახალი, 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2014 წლის 29 ოქტომბერს საქართველო არჩეულ იქნა გლობალური ფორუმის ექსპერტთა ჯგუფის წევრად (PEER REVIEW GROUP (PRG)). აღნიშნული ჯგუფის წევრად საქართველო განმეორებით იქნა არჩეულ 2020 წელს, 2 წლის ვადით. აღნიშნული ჯგუფი მუშაობს საგადასახადო გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სტანდარტის დახვეწაზე და გლობალური ფორუმის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეფასებაზე. ექსპერტთა ჯგუფში გაწევრიანებულია 30 სახელმწიფო.

2016 წლის ივნისს საქართველო გახდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) მიერ შექმნილი ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებული წევრი სახელმწიფო და აიღო დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის ვალდებულება. ხოლო 2016 წლის 1 ივლისს BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის პირველი შეხვედრაზე დამტკიცდა ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) შემადგენლობა, რომელშიც არჩეულ იქნა საქართველო. 2018 წლიდან საქართველო ხელახლა იქნა არჩეული ჯგუფში მეორე ვადით.

BEPS-ის პროექტის მე-5 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით, 2017 წელს საზიანო საგადასახადო პრაქტიკის შესახებ ფორუმმა (FHTP OECD) დაიწყო საქართველოში არსებული პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმების შესწავლა (საერთაშორისო ფინანსური კომპანია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ვირტუალური ზონის პირი). შეფასების შედეგად დადგინდა, რომ OECD-ის სტანდარტების შესაბამისად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სპეციალური სავაჭრო კომპანია არის „არა საზიანო“ (out of the scope of the minimum standards), ხოლო ორი რეჟიმი - საერთაშორისო ფინანსური კომპანია და

ვირტუალური ზონის პირი არის „პოტენციურად საზიანო, მაგრამ რეალურად არა საზიანო“. შესაბამისად, OECD-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით, საერთაშორისო ფინანსური კომპანიის სტატუსი გაუქმდა 2020 წელს.

BEPS პროექტის მე-5 ღონისძიების მეორე ნაწილის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველომ დანერგა წინასწარ საგადასახადო გადაწყვეტილებებზე ინფორმაციის სპონტანური გაცვლის სტანდარტი. კერძოდ, 2018 წელს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა „დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის პროექტით გათვალისწინებული სავალდებულო ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ბრძანება. აღნიშნულ სტანდარტზე შეფასება დაიწყო 2019 წელს და ყოველწლიურად დადებიდათ ფასდება OECD-ის მიერ (no recommendations);

ამასთან, 2017 წლის მარტიდან საქართველო არჩეულ იქნა FHTP-ის ბიუროს წევრ ქვეყნად, ხოლო 2017 წლის მაისის თვიდან საქართველო წარმოადგენს საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმის კრიტერიუმების გადახედვის ფოკუს ჯგუფის წევრს.

BEPS პროექტის მე-6 ღონისძიების (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა) დანერგვის მიზნით, 2017 წლის 7 ივნისს, საფრანგეთში, ქ. პარიზში OECD-ის კვირეულის დროს, მინისტრიალის საბჭოს შეხვედრების ფარგლებში გაიმართა „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივ კონვენციის ხელმოწერის პირველი ცერემონია. მრავალმხრივ ინსტრუმენტს ხელი მოაწერა 70-ზე მეტი ქვეყნის მაღალი დონის წარმომადგენელმა, მათ შორის საქართველომ.

მრავალმხრივი კონვენციით ცვლილებები შევიდა „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ“ საგადასახადო შეთანხმებებში. კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან ინსტრუმენტის რიგ დებულებაზე გააკეთონ დათქმები, წარადგინონ პოზიციები და არჩევანი. ამ მიზნით, 2016-2017 წლებში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, როგორც დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ექსპერტებთან, ასევე ორმხრივი მოლაპარაკებები შემდეგ სახელმწიფოებთან: სერბეთი, სლოვაკეთი, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, სლოვენია, ინდოეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ისრაელი, სინგაპური, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდები. ამასთან, ჩატარდა ანალიზი საქართველოს მიერ ხელმოწერილი და ძალაში შესული ორმაგი დაბეგვრის შეთანხმებების და OECD-ის სამდივნოს წარედგინა MLI-სთან მიმართებით საქართველოს პოზიცია.

2018 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მრავალმხრივი ინსტრუმენტის რატიფიცირება, რომელიც საქართველოსთვის ძალაშია 2019 წლის პირველი ივლისიდან.

2022 წლისათვის „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის წარმატებით იმპლემენტაციის მიზნით OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, სინთეზირებული ტექსტები მომზადდა შემდეგ ქვეყნებთან: ირლანდია, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, ლიტვა, ლუქსემბურგი, ფინეთი, სინგაპური, ინდოეთი, სერბეთი, სლოვენია, ბელგია, ლატვია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ისრაელი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ნორვეგია, სან მარინო, პორტუგალია, კვიპროსი, კორეა, ლიხტენშტაინი, ხორვატია და ისლანდია.

BEPS-ის პროექტის მე-13 ღონისძიების (გარიგების შეფასების დოკუმენტაცია და ქვეყნების მიხედვით ანგარიშგება) მინიმალური სტანდარტის დანერგვას მიზნით, 2016 წლის 30 ივნისს, BEPS-

ის ინკლუზიური პლატფორმის შეხვედრის ფარგლებში, საქართველომ ხელი მოაწერა კომპეტენტური ორგანოების მრავალმხრივ შეთანხმებას ქვეყნების მიხედვით ანგარიშების გაცვლის შესახებ (CbC MCAA). 2019 წელს საქართველო, OECD-სთან თანამშრომლობით, ინტენსიურად მუშაობდა ქვეყნების მიხედვით ანგარიშების სტანდარტის დანერგვისთვის საჭირო სამართლებრივი გარემოს შესაქმნელად. 2020 წლის 14 ივლისს პარლამენტმა დაამტკიცა პირველადი კანონმდებლობა.

BEPS-ის პროექტის მე-14 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვას უზრუნველყოფს FTA MAP ფორუმი. 2017 წლის მაისიდან საქართველო მონაწილეობას ღებულობს FTA MAP ფორუმის საქმიანობაში. ასევე აქტიურად არის ჩართული და წარმოდგენილია აღნიშნული ფორუმის ბიუროში. მე-14 ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს შეფასება FTA MAP ფორუმის მიერ დაგეგმილი იყო 2020 წლისთვის და გადაიღო OECD-ის მიერ. ამასთან, 2020 წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან ერთად მომზადდა ურთიერთშეთანხმების პროცედურის შესახებ ბრძანების პროექტი.

2017 წლიდან საქართველო აქტიურად იყო ჩართული ციფრული ეკონომიკის დაბეგვრასთან დაკავშირებით OECD-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში და 2021 წლის 1 ივლისს საქართველო შეუერთდა OECD-ის განცხადებას საერთაშორისო დაბეგვრის რეფორმისთვის ახალი ჩარჩოს შექმნის თაობაზე. აღნიშნული ჩარჩო ითვალისწინებს ორსვეტიან გეგმას, მულტინაციონალური კომპანიების მიერ თავიანთი გადასხადების სამართლიანი წილის გადახდის უზრუნველსაყოფად.

შემოსავლების სამსახური, როგორც ღია, მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული საჯარო ადმინისტრაცია, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, ქმნის მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის გასაუმჯობესებლად. სამსახური წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო, საბაჟო ადმინისტრაციებთან და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იმისათვის, რომ გახდეს უფრო მეტად მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული ინსტიტუტი.

ბოლო წლების განმავლობაში შემოსავლების სამსახურში განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები, კერძოდ:

2019 წლიდან ამოქმედდა **დღგ-ის ავტომატური დაბრუნების სისტემა**, რომელიც ითვალისწინებს დღგ-ის გადასახადში რისკების მართვის თანამედროვე მიდგომებს და უზრუნველყოფს დღგ-ის თანხის დაბრუნების გამარტივებულ პროცედურებს.

2020 წელს სისტემა გახდა სრულად ავტომატიზირებული - ავტომატური დაბრუნების პროგრამით გამოანგარიშებული დასაბრუნებელი ზედმეტობა, გადასახადის გადამხდელთა პირად საბანკო ანგარიშზე აისახება ავტომატურად, დამატებითი მოთხოვნის წარდგენის გარეშე.

შემოსავლების სამსახურში 2021 წლიდან სრულად ამოქმედდა **კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები**, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო შეუსაბამობების შესახებ და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებას.

ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროგრამების დანერგვა:

- ✓ რეგისტრაციის ბაზის სისრულე, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ სარეგისტრაციო მონაცემების ბაზაში დროული და სრული ასახვა, ასევე დაინტერესებული პირების ინფორმირება მათი სარეგისტრაციო ვალდებულებების შესახებ;

- ✓ დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელების სტატუსის განსაზღვრა, რომლის მიზანია რისკებზე დროული რეაგირება და დღგ-ის გადამხდელად არამიზნობრივი რეგისტრაციების რაოდენობის შემცირება;
- ✓ დაქირავებულ პირთა რეესტრის პროგრამა, რაც მიზნად ისახავს დაქირავებულ პირთა შესახებ დამქირავებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის კონტროლს;
- ✓ დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაცია, რომლის მიზანს წარმოადგენს გადასახადების მიხედვით გადასახადის გადამხდელთა რეესტრის ვალიდაცია და დროული დეკლარირების უზრუნველყოფა;
- ✓ დღგ-ის ავტომატური დაბრუნების ვალიდაციის რისკის მოდული, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელების მიერ დღგ-ის დეკლარირების პროცესში დაშვებული შეცდომების შემცირება;
- ✓ დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვა, რაც მიზნად ისახავს გამოწერილი და დაუბეგრავი დოკუმენტების რაოდენობის შემცირებას;
- ✓ მონაცემთა ხარისხის კონტროლი, რომლის მიზანია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემების სისწორის და სისრულის უზრუნველყოფა;
- ✓ მარაგების მართვა, მიზნად ისახავს დაუდეკლარირებელი მარაგების რისკის მქონე გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის შემცირებას.

სამსახურში დაინერგა **საგარეულო დარიცხვის მექანიზმი**, რომელიც გულისხმობს, საგადასახადო ორგანოს მიერ კონკრეტული საგადასახადო პერიოდისთვის გადასახადის აღრიცხვასა და ასახვას იმ გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, შესაბამისი პერიოდის დეკლარაცია არ აქვს წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გადამხდელთა უმეტესობა ნებაყოფლობით ადეკლარირებს და იხდის კუთვნილ გადასახადს, დავალიანების მართვა კვლავ გამოწვევად რჩება შემოსავლების სამსახურისთვის. რეფორმის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურში შეიქმნა ვალის მართვის დეპარტამენტი, რომლის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საგადასახადო დავალიანების ეფექტიანი ადმინისტრირება. 2021 წელს დამტკიცდა **ვალის მართვის 2022-2024 წლების სტრატეგია**, რომელიც მიზნად ისახავს საგადასახადო დავალიანების დროულად გადახდის მაჩვენებლის გაუმჯობესებას და დაგროვილი საგადასახადო დავალიანების მოცულობის შემცირებას.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მომდევნო წლებში დაგეგმილია 3 ძირითადი ამოცანის შესრულება:

- ✓ გადახდევინებისგან თავის არიდების პრევენციული მექანიზმების გაძლიერება;
- ✓ დავალიანების ამოღების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- ✓ ძველი დავალიანების შემცირება.

შემოსავლების სამსახურში დაინერგა **აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა**. ახალი სისტემის Microsoft Dynamics CRM მიზანია საგადასახადო შემოწმების პროცესების გაციფრულება და მისი ეფექტიანად წარმართვა, რომლის საშუალებითაც ხდება საგადასახადო შემოწმების მთლიანი პროცესის ელექტრონული ზედამხედველობა. ახალი პროგრამის საშუალებით ხორციელდება საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპის (დაგეგმვიდან დასრულებამდე) პროგრამულად ასახვა და თანამშრომლებს აქვთ ელექტრონული წვდომა ყველა იმ დოკუმენტთან (საკანონმდებლო აქტები, დავების გადაწყვეტილება, აუდიტის დასკვნა და სხვა.), რომელიც საჭიროა მიმდინარე საგადასახადო შემოწმების პროცესში.

სამსახურში დაინერგა და ფუნქციონირებს **მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემა**, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში არსებული და მესამე მხარიდან მისაღები მონაცემების შეგროვებას, აგრეთვე, ხელს უწყობს სამსახურის ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერებას და სანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებების

მიღებას. ასევე, გამარტივდა ინფორმაციაზე ოპერატიული წვდომა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. სისტემაში ინტეგრირებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან მიღებული ინფორმაცია. 2022 წლის მდგომარეობით, ინფორმაციის მიღება/გაცვლაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია 20-მდე სახელმწიფო უწყებასთან. ამასთან, სამსახური სისტემატიურ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემის დახვეწა/განვითარების მიმართულებით.

გადასახადის გადამხდელთა სარეგისტრაციო მონაცემების ეფექტიანად მართვის მიზნით, 2019 წლის მეორე ნახევარში, შემოსავლების სამსახურმა განახორციელა **საგადასახადო რეგისტრაციის პროექტი**, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადის გადამხდელთა შესახებ სამსახურში არსებული მონაცემების სანდოობის უზრუნველყოფას. პროექტის ფარგლებში განისაზღვრა გადასახადის გადამხდელთა შესახებ ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების პრინციპები, შემუშავდა მონაცემთა სანდოობის უზრუნველსაყოფი ღონისძიებები და დაინერგა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სათანადო რეგისტრაციის არმქონე პირებზე რეაგირების ეფექტიანი მიდგომები.

შეიქმნა ორბიჯიანი ავტორიზაციის პროცესი, რაც უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის ელექტრონული სერვისების გვერდზე, მომხმარებლის უფლებების, უსაფრთხოებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას და გადასახადის გადამხდელის შესახებ განახლებული მონაცემებით საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესებას. განახლდა გადასახადის გადამხდელის არსებული საინფორმაციო ბარათი, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედი და უმოქმედო გადასახადის გადამხდელების გამიჯვნას, მათი ძირითადი საქმიანობის, დეკლარაციების ჭრილში ინფორმაციის, მართვის ადგილისა და ობიექტის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენისთვის. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს გადამხდელთა შესახებ სრულყოფილი და ზუსტი მონაცემთა ბაზის არსებობას და წარმოსადგენი საგადასახადო დეკლარაციების ზუსტი მოლოდინის განსაზღვრას.

საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან დაახლოების მიზნით, ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში და **დღგ-ის მარეგულირებელი დებულებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით**. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული დღგ-ის რეფორმა აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამცირებს სადავო შემთხვევებს და ამარტივებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.

რეფორმის შედეგად:

- ✓ ფართოვდება მომსახურებების ჩამონათვალი, რაც საქართველოს ფარგლებს გარეთ არ დაიბეგრება;
- ✓ ფართოვდება და ზუსტდება საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ოპერაციები;
- ✓ საქონლის დროებითი შემოტანა აღარ განიხილება დასაბეგრ ოპერაციად;
- ✓ სამედიცინო და საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად დაბეგრისგან თავისუფლდება მასთან უშუალოდ დაკავშირებული და დამხმარე მომსახურების ან საქონლის მოწოდება;
- ✓ არ დაიბეგრება ორგანიზაციის მიერ სახსრების მოზიდვის მიზნით სამედიცინო საგანმანათლებლო და ცალკეული სოციალური ხასიათის საქმიანობა;
- ✓ არ დაიბეგრება საქონლის ნიმუშის ან მცირე ღირებულების საჩუქრის გადაცემა;
- ✓ მარტივდება საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების დღგ-ით დაბეგრასთან დაკავშირებული რეგულაციები;
- ✓ დღგ-ის გადამხდელ ფიზიკურ პირს აღარ ექნება შეზღუდვა აღრიცხვა აწარმოოს საკასო მეთოდით.

საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში, 2021 წლის პირველ ოქტომბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება შევიდა ძალაში, რის საფუძველზეც დაინერგა **უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესი**. კერძოდ, უცხოელი დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან არ ცხოვრობს საქართველოში ან საქართველოში არ გააჩნია მუდმივი დაწესებულება და ციფრულ მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია მოახდინოს ციფრული მომსახურების გაწვევისთვის დღგ-ის ანგარიშგება და გადახდა. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავდა სპეციალური პლატფორმა, რომლის მეშვეობით უცხოელი დასაბეგრი პირები გაივლიან გამარტივებულ რეგისტრაციას და მოახდენენ დღგ-ის გამოანგარიშებას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას - <https://nr.rs.ge/>. ცვლილების შედეგად განხორციელდება ციფრული მომსახურების სამართლიანად დაბეგვრა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებას.

ამოქმედდა **ახალი საბაჟო კოდექსი**, რომელიც უზრუნველყოფს საბაჟო ფორმალობების ევროკავშირის სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოებასა და საბაჟო რეგულირების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული გარემოს შექმნას. საქართველო გახდა პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელიც თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ახალი საბაჟო კანონმდებლობითაც სრულად პასუხობს ევროსტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაში, გახდება მნიშვნელოვანი სტიმული ევროკავშირიდან ინვესტიციების მოსაზიდად და ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის ინტეგრაციას ევროკავშირის ბაზარზე.

ამოცანები და მიზნები

4.1 საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საგადასახადო კოდექსის შემდგომი სრულყოფა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების მომზადება;

დაგეგმილია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით საგადასახადო კოდექსის შესაბამისი დებულებების გადამუშავება. ასევე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, აქციზის სტრუქტურის ცვლილება და თემატურად დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე თავების (ენერგო პროდუქტები, ალკოჰოლი, თამბაქოს ნაწარმი, ავტომობილები და სხვა) მიხედვით ჩამოყალიბება და შესაბამისი საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტის მომზადება. ასევე მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან ერთად საგადასახადო შეღავათების ანალიზზე და შესაბამისი საგადასახადო ცვლილებების პროექტის მომზადებაზე.

4.2 ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება და საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივასთან, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ, კანონმდებლობის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში - 2019 წლის სექტემბრისთვის ჰარმონიზაცია, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან.

დაგეგმილია საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის მომზადება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში

ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურისაციის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

დაგეგმილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ, საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა.

4.3 დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა

დაგეგმილია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის ნორმის გამოყენების შესახებ, საჯარო გადაწყვეტილებების გამოცემა.

4.4 საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება

გაგრძელდება მუშაობა ქვეყნის საბაჟო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებაზე და საბაჟო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტის პროექტების მომზადებაზე.

4.5 დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) პროექტი

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებული წევრობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით საქართველომ დანერგა BEPS-ის მე-5 ღონისძიებით (საზიანო საგადასახადო პრაქტიკა) დადგენილი სტანდარტები. ასევე განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები BEPS-ის მე-6 ღონისძიების (საგადასახადო შეთანხმებების ბოროტად გამოყენების აღკვეთა) დანერგვის მიზნით. დაგეგმილია „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივი კონვენციის უკეთესად იმპლემენტაციის მიზნით, OECD-ის რეკომენდაციის შესაბამისად, სინთეზირებული ტექსტების მომზადება იმ ქვეყნებთან, რომელთაც ჯერ არ მოუწერიათ ხელი მრავალმხრივ კონვენციაზე. გარდა აღნიშნულისა, ფინანსთა სამინისტროს მიზანია, მრავალმხრივი საგადასახადო კონვენციით გათვალისწინებული ნორმები გავრცელდეს, საქართველოს მიერ გაფორმებულ და ძალაში შესულ ყველა შეთანხმებაზე.

აგრეთვე იგეგმება BEPS-ის პროექტის მე-13 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების წარმოებასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავება და დაგეგმილია BEPS-ის პროექტის მე-14 ღონისძიების მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით, ურთიერთშეთანხმების პროცედურის შესახებ ბრძანების მიღება.

ასევე დაგეგმილია OECD-ის მიერ შემუშავებული პირველი და მეორე სვეტის (Pillar 1 and Pillar 2) შესახებ მიღებული შეთანხმებების ეტაპობრივი იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ანალიზი და სამოქმედო გეგმის მომზადება.

4.6 საგადასახადო სფეროში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმი

გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის

ახალი მე-2 ფაზის შეფასებების მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასების მიზნით კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. ახალი მე-2 ფაზის შეფასებების მეთოდოლოგიის შესაბამისად საქართველოს იურისდიქციის შეფასება დაგეგმილი იყო 2020 წლისთვის და გადაიდო 2022 წლისათვის. ასევე დაგეგმილია საფინანსო ინფორმაციის ავტომატურ გაცვლასთან (CRS) დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება/მიღება.

საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ამაღლება

შემოსავლების სამსახური მუდმივად ორიენტირებულია საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონშესაბამისობის ხელშეწყობაზე. შესაბამისად, მომსახურების გაუმჯობესების პარალელურად, სამსახურში მუდმივად მიმდინარეობს კანონშესაბამისობის რისკების მართვის ეფექტიანი მიდგომების დანერგვის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება სხვადასხვა ქვეყნის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციების გამოცდილების გაზიარება, აგრეთვე, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა თანამედროვე სტანდარტების გამოყენებით განხორციელდეს ისეთ გლობალურ გამოწვევებთან გამკლავება, როგორიცაა გადასახადისგან თავის არიდება, თაღლითობა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლის შემოტანა და სხვა.

4.7 კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

იმისათვის, რომ გადასახადის გადამხდელების მხრიდან მოხდეს ძირითადი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციას, დეკლარაციების დროულ წარმოდგენას, დეკლარაციებში სწორი და სრული ინფორმაციის ასახვას, ასევე დეკლარაციის საფუძველზე დარიცხული გადასახადების დროულ გადახდას, მნიშვნელოვანია შემოსავლების სამსახურში არსებობდეს აღნიშნული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული რისკების მართვის უზრუნველსაყოფი მექანიზმები.

4.8 საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესის დახვეწის მიზნით, ინერგება მონაცემთა დამუშავების და ანალიზის თანამედროვე მექანიზმები და სისტემები, რაც გააუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების და კონტროლის შედეგების უკუკავშირის სისტემას. პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით გაფართოვდება საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემების წინასწარი გაცვლის არეალი, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტვირთების სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილებისა და საბაჟო კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

4.9 საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება

საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საგადასახადო დავალიანების დაგროვების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის გადამხდელთა უმეტესობა ნებაყოფლობით ადეკლარირებს და იხდის კუთვნილ გადასახადს, დავალიანების მართვა შემოსავლების სამსახურისთვის კვლავ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, მიზანმიმართული ქმედებების განხორციელებით, დროული რეაგირებითა და გონივრული აღსრულებით, ასევე, ადმინისტრაციული რესურსის ოპტიმიზაციით, მომდევნო წლებში სამსახურის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს საგადასახადო დავალიანების მართვის პროცესის გაძლიერება.

4.10 დაინტერესებულ პირთა საჭიროებაზე მორგებული სერვისების განვითარება

შემოსავლების სამსახური, გადასახადის გადამხდელებს და სხვა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მომსახურების ფართო სპექტრს. პირს, რომელსაც აქვს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების სურვილი, მაქსიმალურად მარტივად და მინიმალურ დროში უნდა შეეძლოს წარმოშობილი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, შემოსავლების სამსახურის მიერ გადასახადის გადამხდელისთვის შეთავაზებული სერვისები უნდა შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს, პასუხობდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ ტენდენციებს, აკმაყოფილებდეს მომხმარებლის საჭიროებებს, ხელს უწყობდეს საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესრულების გამარტივებას და ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ამაღლებას.

ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა

4.11 ადამიანური რესურსის განვითარება

შემოსავლების სამსახურის ორგანიზაციული განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამშრომლებზე, რომლებიც წარმოადგენენ სამსახურის წარმატების უმთავრეს გარანტიას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის უზრუნველყოფა, თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა და მაღალი ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნება.

4.12 საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება

მომდევნო წლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინვესტირების განხორციელება საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, რათა უზრუნველყოფილი იქნას ძირითადი ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია და მოწინავე ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება.

ამასთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება, ხელს შეუწყობს ელექტრონული სისტემების ეფექტურ ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელთა მონაცემების უსაფრთხოებას, რაც შემოსავლების სამსახურის უდიდესი პასუხისმგებლობაა.

4.13 ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

იმის გათვალისწინებით, რომ შემოსავლების სამსახური ახორციელებს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და მიღების შესაძლებლობის ადეკვატური კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება საინფორმაციო უსაფრთხოების სტანდარტის - ISO 27001 დანერგვა.

10.14 ორგანიზაციული რისკების მართვის სისტემის დანერგვა

ორგანიზაციული რისკების თანამედროვე, ქმედითი მართვის სისტემის დანერგვა და გამართულად ფუნქციონირება წარმოადგენს სამსახურის უახლოესი ორგანიზაციული განვითარების

სავალდებულო ნაბიჯს, რაშიც სამსახური გეგმავს სათანადო ადამიანური, ფინანსური, დროითი და ტექნოლოგიური რესურსების თანმიმდევრულ ინვესტირებას, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს სამსახურის წინაშე არსებული პროგრამული, სტრატეგიული და ოპერაციული მიზნების მიღწევას და ამოცანების შესრულებას.

4.15 ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

სამსახური განაგრძობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერას. მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიმართულებით, რაც ითვალისწინებს ევრო დირექტივებთან და რეგულაციებთან დაახლოებას, საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებასა, აგრეთვე, საგადასახადო/საბაჟო პოლიტიკისა და ადმინისტრირების საერთაშორისო პრინციპების დანერგვას.

5. მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

გასული წლების მანძილზე მიმდინარეობდა მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების სრულყოფის ღონისძიებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში ჩამოყალიბდა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მუშაობს საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზირების სრულყოფაზე. გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განვითარება და გასაჯაროება. მაკროეკონომიკური პროგნოზის არეალი მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს: რეალური სექტორი, საგარეო სექტორი, სახელმწიფო ფინანსები და მონეტარული სექტორი. არსებული პროგნოზების გათვალისწინებით, ქვეყნდება ოთხწლიანი ფისკალური ჩარჩო, რომელიც ასახავს მიმდინარე გამოწვევებისადმი ფისკალური პოლიტიკის პასუხს. ამ ჩარჩოს ეფუძნება საშუალოვადიანი საბიუჯეტო ჩარჩო. ძირითადი ცვლადებისათვის კეთდება ასევე ე.წ. ალბათური პროგნოზები შესაბამისი ფანჩარტებით მიმდინარე, დასაგეგმი და მომდევნო სამი წლისთვის, სადაც წერტილოვან პროგნოზებთან ერთად მოცემულია საზღვრები შესაბამისი ალბათობებით, რა ინტერვალშიც არის მოსალოდნელი მოვლენების განვითარება.

2014 წლიდან, რისკების ანალიტიკურ დოკუმენტში, რომელიც საბიუჯეტო დოკუმენტაციის ნაწილია, გაანალიზებულია ეგზოგენური რისკ-ფაქტორები, რომელთაც შესაძლოა გავლენა იქონიონ პროგნოზებზე და გამოიწვიონ მოვლენების პოზიტიური, ან ნეგატიური სცენარით განვითარება. ამავე დროს ანალიზი მოიცავს წელს მოსალოდნელი რისკ ფაქტორებიდან რეალიზებული რისკების გავლენის ანალიზს, პოლიტიკის შესაბამის პასუხებთან ერთად. სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე საბიუჯეტო დოკუმენტაცია მოიცავს სცენარების ანალიზს, რომელიც საბაზისო, ყველაზე მოსალოდნელ სცენართან ერთად განიხილავს ეგზოგენური ფაქტორების განვითარების ალტერნატიული სცენარების პირობებში მოსალოდნელ პროგნოზებს. მაკროეკონომიკური პროგნოზი ქვეყნდება სამ სცენარად ალტერნატიულ მაკროეკონომიკურ ვარაუდებზე დაყრდნობით: საბაზისო - ყველაზე მოსალოდნელი, პოზიტიური და ნეგატიური. აღნიშნული სცენარები ასახულია საბიუჯეტო დოკუმენტაციაში პროგნოზებთან ერთად. პოზიტიური და ნეგატიური სცენარების ანალიზი ასევე მოიცავს ფისკალური პოლიტიკის პასუხებს, მათი შესაძლო განვითარების პირობებში.

მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება დადებითადაა შეფასებული სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. 2018 წლის სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA) შეფასების ანგარიშში შეფასებულია საუკეთესო (A) ქულით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების მისიის მიხედვით უმაღლეს შეფასებას იმსახურებს მაკროეკონომიკური რისკების შეფასება და გამჟღავნება, ასევე „კარგ“ შეფასებას იმსახურებს მაკროეკონომიკური პროგნოზირება. შედარებით სუსტ მხარედ მიჩნეულია შედარებით მაღალი უზუსტობა. თუმცა გამჭვირვალობის შეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ უზუსტობა ნაწილობრივ საქართველოს ეკონომიკის მაღალი მერყეობითაც აიხსნება. ამასთან აღნიშნულია ის ფაქტი, რომ პროგნოზების გადახრა მნიშვნელოვნად შემცირდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. მაკროეკონომიკური პროგნოზირების მეთოდოლოგია მუდმივი სრულყოფის პროცესშია და მომავალშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მისი სიზუსტის ზრდა წარმოადგენს, რასაც ხელს შეუწყობს მოდელირების ტექნიკის შემდგომი განვითარება პროგნოზირებისა და პოლიტიკის ანალიზისათვის. მაკროეკონომიკური მოდელირების გაუმჯობესების მიზნით 2022 წელს შეიქმნა ახალი სამმართველო (მაკროეკონომიკური მოდელირების სამმართველო), რომელიც მაკროეკონომიკური და ფისკალური მოდელის შემუშავებასა და გაუმჯობესებაზე იმუშავებს, პროგნოზირების გაუმჯობესებისა და პოლიტიკის ანალიზის სრულყოფილად წარმართვის მიზნით.

ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების მიერ სისუსტედ იქნა მიჩნეული პროგნოზების შედარების არარსებობა. ფინანსთა სამინისტრომ ამ მიმართულებით უკვე დაიწყო მუშაობა. ფისკალური გამჭვირვალობის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წელს დაიწყო და ყოველ წელს ხდება მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზი. აღნიშნულის ფარგლებში, დეტალურად ხდება განხილვა, თუ როგორ შეიცვალა საშუალოვადიანი პროგნოზები გასულ წელთან შედარებით, შესაბამისი გამომწვევი მიზეზების ახსნით. დოკუმენტი თან ერთვის მომდევნო წლის ბიუჯეტს. მიმდინარე წლებში გაუმჯობესებულია რეკონსილიაცია პროგნოზების შესაძლო ცვლილებების ახსნის მიმართულებით როგორც მაკროეკონომიკური ფაქტორების, ისე ფისკალური პოლიტიკის და სხვა ცვლილებების იდენტიფიცირების შედეგად. ფისკალური პოლიტიკის ანალიზის მოდელის შემუშავების შემდგომ უკვე შესაძლებელი იქნება სრულყოფილად გაანალიზდეს ის ფაქტორები რამაც გამოიწვია პროგნოზისაგან გადახრა. ასევე შესაძლებელი გახდება კონკრეტული შოკების კონტრიბუციების განსაზღვრა პროგნოზის შეცდომაში.

გარდა პროგნოზირებისა, ასევე მნიშვნელოვნად დაიხვეწა მაკროეკონომიკური ანალიზის მიმართულებაც. გამოიცემა ყოველთვიური პუბლიკაცია - „მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები“ და კვარტალური პუბლიკაცია - „ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა“, სადაც საფუძვლიანად არის მიმოხილული საქართველოს ეკონომიკის განვითარება. პუბლიკაციები მოიცავს ყველა მნიშვნელოვან სექტორს და დაინტერესებულ პირს მუდმივად აქვს შესაძლებლობა სამინისტროს ვებ-გვერდზე გაეცნოს უახლეს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესებისა და რისკების შესახებ. ამასთან, შიდა მოხმარებისთვის მზადდება ყოველთვიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლის შეფასება და ფაქტობრივიდან გადახრის მიზეზების ანალიზი, პროგნოზის დახვეწის მიზნით. ასევე მზადდება პრეზენტაციები როგორც ყოველთვიური ვაჭრობის ანალიზის, ასევე - ტურიზმისა და ფულადი გზავნილების ძირითადი ტენდენციების შესახებ.

5.1 მაკროეკონომიკური ანალიზი და პროგნოზირება

არსებული მდგომარეობა უმეტეს პოზიციებში შეფასებულია უმაღლესი ქულით, თუმცა ახალი გამოწვევების კვალობაზე მიმდინარეობს მუშაობა როგორც სისუსტეების აღმოსაფხვრელად, ასევე ძლიერი მხარეების შენარჩუნებისა და კიდევ უფრო დახვეწისათვის. გადაწყვეტილებების მოსალოდნელი შედეგების ანალიზის გაუმჯობესების მიზნით კიდევ უფრო დაიხვეწება პროცესები.

დაგეგმილია ეკონომეტრიკული მოდელირების შემდგომი გაუმჯობესება. კვარტალურ მონაცემებზე დაფუძნებული დინამიკური მაკროეკონომიკური მოდელი შესაძლებელს გახდის ფისკალური შოკების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე გავლენის დროულ შეფასებას და არასასურველ ეკონომიკურ სიტუაციაზე სწრაფ რეაგირებას.

- საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩოს უკეთ დასაგეგმად გამოიყენება საერთო წონასწორობის დინამიკური სტოქასტური მოდელი, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტთა ჯგუფთან ერთად. მოდელი გამოიყენება სხვადასხვა სცენარის მიხედვით შოკის გავლენის შეფასებისა და პროგნოზების განახლებისას და ასევე ექვემდებარება მუდმივ გაუმჯობესებას. მიმდინარეობს მოდელის მორგება საქართველოს ეკონომიკის ძირითად ასპექტებზე და ასევე მეთოდოლოგიის დოკუმენტზე მუშაობა, რაც დაეხმარება ახალ თანამშრომლებს სამუშაო პროცესში დროულად ჩართვაში.
- დაგეგმილია ახალი ეკონომეტრიკული მოდელების შემუშავება და არსებული მოდელების გაუმჯობესება მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის. სხვადასხვა ალტერნატიული პროგნოზების განხილვა და შედარება ძალიან მნიშვნელოვანია ანალიზისა და დაგეგმვის პროცესში.
- მომავალ წლებში რეფორმების კიდევ ერთ პრიორიტეტს ამ სფეროში ანალიტიკოსების კვალიფიკაციის ზრდა წარმოადგენს. დაგეგმილია მაკროეკონომიკური მოდელირების დაკომპლექტება და თანამშრომლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება, რაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. აღსანიშნავია, რომ წინა წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა მაკროეკონომიკური ანალიზის სამმართველოსა და სამინისტროს სხვა თანამშრომლებისათვის რეგულარული ტრენინგების ორგანიზება, რის მიზანსაც წარმოადგენდა სამინისტროს თანამშრომლებისათვის საქართველოს ეკონომიკაზე მორგებული ტრენინგების თანმიმდევრულ მიწოდება და საბოლოო ჯამში თანამშრომლების მაღალკვალიფიციურ ექსპერტებად ჩამოყალიბება.
- მაკროეკონომიკური ანალიზის მიმართულების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია საქართველოს ეკონომიკაზე მოქმედი საგარეო მაკროეკონომიკური რისკების საფუძვლიანი ანალიზი და ამ რისკებისადმი მოწყვლადობის შეფასება. დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსი, რის ფარგლებშიც გაეცნენ საერთაშორისო მეთოდოლოგიას საგარეო მოწყვლადობის შეფასების შესახებ. მნიშვნელოვანია ახლად გამოვლენილი რისკების მუდმივი მონიტორინგი და მისი გავლენის ასახვა ეკონომიკური ინდიკატორების შეფასებისას, რასაც ექნება პერიოდული ხასიათი.

5.2 სახელმწიფო ფინანსების მოცვის გაუმჯობესება

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მუშაობის შედეგად, დასრულდა მუშაობა GFSM 2014-ზე გადასვლასთან დაკავშირებით საბიუჯეტო კლასიფიკაციაში შესაბამისი ცვლილებების

განხორციელებაზე. ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე დაიწყო GFSM 2014 მეთოდოლოგიით განახლებული მონაცემების გამოქვეყნება. სახელმწიფო ფინანსების მონაცემების გაუმჯობესების და მთავრობის ოპერაციების სრულად მოცვის მიზნით ის სსიპ-ები და ააიპ-ებიც აისახა საბიუჯეტო სტატისტიკაში, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აკმაყოფილებენ მთავრობის კრიტერიუმებს. ამასთან, ჩამოყალიბდა წესი, რომელიც განსაზღვრავს სსიპ-ების და ააიპ-ების კლასიფიცირების კრიტერიუმებს, რომლებიც შესაბამისობაში იქნება GFSM 2014-თან და სხვა საერთაშორისოდ აღიარებულ მეთოდოლოგიებთან. ასევე მიმდინარეობს მუშაობა სსიპ-ების და ააიპ-ების მონაცემების ყოველწიურ და კვარტალურ მონაცემებში ასახვის მიზნით. მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების აღრიცხვის მუდმივი დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება.

5.3 საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის რაოდენობრივი შეფასების დახვეწა და საგადასახადო შეღავათების ოპტიმიზება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან ერთად განხორციელდა საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლების რაოდენობრივი შეფასება (“საგადასახადო დანახარჯები”), რომელიც მთავრობის არაპირდაპირი სუბსიდირების შეფასების საშუალებას იძლევა. ამასთან, მისიის ფარგლებში მოხდა მათ მიერ გამოყენებული მეთოდებისა და მოდელების შესახებ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტების თანამშრომლებისთვის. აღნიშნულის ფარგლებში ადგილი ჰქონდა საშემოსავლო, მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადთან დაკავშირებული საგადასახადო შემოსავლების რაოდენობრივ შეფასებას.

აღნიშნული ამოცანის შესრულებას წინ უძღვოდა საშემოსავლო და მოგების გადასახადთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯების შეფასება, რაც „კარგი მმართველობის ინიციატივის“ (GGI) პროექტის ფარგლებში ჩატარდა და რომლის დაფინანსებაც განხორციელდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო დანახარჯების შეფასება კი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დამხმარების მისიის ფარგლებში განხორციელდა.

რაოდენობრივი შეფასების შესახებ მეთოდებისა და გამოცდილების გაზიარების შემდეგ, მომდევნო წლებში იგეგმება როგორც საგადასახადო დანახარჯების შეფასების დამოუკიდებლად განხორციელება და მიღებული ანგარიშის წარდგენა ბიუჯეტის პროექტთან ერთად დანართის სახით, ასევე ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზის ჩატარება საგადასახადო დანახარჯებთან დაკავშირებით, რის ფარგლებშიც გამოვლენილი დანახარჯებიდან 2026 წლის ბოლოსთვის დაგეგმილია 5 საგადასახადო შეღავათის ოპტიმიზაციის განხორციელება.

6. ფისკალური რისკები

საქართველომ 2014 წლიდან დაიწყო ფისკალური რისკების შეფასების და მართვის სისტემის დანერგვა, ფისკალური რისკების გამოვლენის, შესწავლის და გამჟღავნების მიზნით. საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შეიქმნა ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციაა ბიუჯეტის წინაშე მდგარი სპეციფიკური ფისკალური რისკების იდენტიფიცირება და მათი შემცირების და მართვის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს

ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს, რომლის დაფარვის არეალი წლიდან წლამდე იზრდება და იხვეწება შინაარსობრივად. ამ მიმართულებით მიღწეული პროგრესით საქართველო ლიდერობს ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. შემდგომ ლოგიკურ ნაბიჯს წარმოადგენს ფისკალური რისკების ანალიზიდან უშუალოდ ფისკალური რისკების მართვაზე გადასვლისთვის საჭირო მექანიზმების განვითარება, რომლის საჭიროებასაც კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი 2020 წელს პანდემიის დაწყების შემდეგ. ეს პერიოდი გამოყენებულ იქნა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის წინარე მოსამზადებელი სამუშაოებისთვის, მაგალითად, განხორციელდა სახელმწიფო საწარმოთა სექტორიზაცია, რის შედეგადაც ზუსტად განისაზღვრა ის საწარმოები, რომლებიც წარმოადგენენ რეფორმირების კანდიდატებს. ამავე პერიოდში მთავრობამ მიიღო სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის კოდექსი, შემუშავდა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის პროექტი. ამასთან, პოტენციური ფისკალური რისკების ეფექტური მართვისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით ფინანსთა სამინისტროს მიენიჭა ფინანსური ზედამხედველის როლი 7 ძირითად სახელმწიფო საწარმოთან მიმართებით.

შეწყდა/შემცირდა PPP პროექტებიდან მომდინარე პირობითი ვალდებულებების აკუმულირება, თავის მხრივ, აღნიშნულმა საფუძველი ჩაუყარა საუკეთესო პრაქტიკების დანერგვას ენერგეტიკის სექტორში.

ამოცანები და მიზნები

მომავალი 4 წლის განმავლობაში ფისკალური რისკების შეფასების და ეფექტური მართვის გაუმჯობესების და სრულყოფის მიზნით დაგეგმილია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

6.1 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და დამტკიცება

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინ „სახელმწიფო საწარმო“, რაც სხვადასხვა მიზნებისთვის ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, სახელმწიფო საწარმოთა სექტორი წარმოადგენს სახელმწიფო ფინანსების მართვის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ბოლო წლებში ამ მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება.

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის განხორციელების შემდეგ მიღწეული შედეგების შენარჩუნებისთვის აუცილებელი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სექტორის მდგრადობის შენარჩუნება სხვადასხვა მიმართულებებით, როგორებიცაა კორპორაციული მართვის პრაქტიკები, საწარმოთა ფლობის/დაფუძნების რაციონალობა, კომერციულობა და კონკურენტული ნეიტრალურობა.

6.2 სახელმწიფო საწარმოთა ფინანსური ზედამხედველობა

იმისდამიუხედავად როგორი იქნება სახელმწიფო საწარმოთა ფლობის მოდელი, ფინანსთა სამინისტროს, როგორც ფისკალურ ზედამხედველს, სახელმწიფო საწარმოთა მიმართ ყოველთვის ექნება ფინანსური ზედამხედველის როლი შესაძლო სხვა ფუნქციებთან ერთად.

აღნიშნულის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 10 ივნისის N1012 განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიანიჭა ზოგიერთი საწარმოს (მსხვილი საწარმოების) ფინანსური ზედამხედველის როლი. ამ ფუნქციის შესაზრულებლად ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა კორპორაციული განზრახვის განაცხადის (კგგ) ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მიერ მისაღწევ ფინანსურ და არაფინანსურ მიზნებს.

2023 წლიდან აქტიურ ფაზაში გადავა ფინანსთა სამინისტროს, როგორც ფინანსური ზედამხედველის ფუნქციების შესრულება. ამავე პერიოდში მოუწევთ განკარგულებით განსაზღვრულ საწარმოებს პირველი ანგარიშგების წარმოდგენა კგგ-თი დასახული მიზნების შესრულებასთან დაკავშირებით.

6.3 ფისკალური რისკების ანალიზი

ამ მიმართულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წლიდან წლამდე მიყვება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებს და რიგ შემთხვევაში თავად არის საუკეთესო პრაქტიკის შემქმნელი. შემდგომ წლებში ერთი მხრივ შენარჩუნდება მიღწეული პროგრესი, მეორე მხრივ გაიზრდება ფისკალური რისკების ანალიზის დაფარვის არეალი ქვეყანაში და გლობალურად მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, მაგალითად, გაიზრდება ფოკუსი გრძელვადიან ფისკალურ რისკებზე, მათ შორის, კლიმატურ ცვლილებებსა და დემოგრაფიულ გამოწვევებზე (მოსახლეობის დაბერება).

6.4 საჯარო და კერძო თანამშრომლობების პროექტებიდან მომდინარე რისკების/პირობითი ვალდებულებების ადეკვატური დონის შენარჩუნება

2020 წლიდან შეიზღუდა ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების (PPA) გაფორმება, რითაც შეწყდა პირობითი ვალდებულებების შემდგომი აკუმულირება და შემცირდა ენერგეტიკის სექტორიდან მომდინარე ფისკალური რისკები.

ამავე პერიოდში დაიწყო მუშაობა ელექტროენერგიის მხარდაჭერის სქემების შემუშავებაზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ სექტორში ინვესტიციების მოზიდვა, მეორე მხრივ არსებითად არ უნდა გაიზარდოს ფისკალური რისკები. საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროები პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განაგრძობენ მუშაობას ენერგეტიკის სექტორის მხარდაჭერის საუკეთესო პრაქტიკების შემუშავების მიმართულებით. აღნიშნული აქტიურ ფაზაში გადავა 2023 წლიდან ელექტროენერგიის ბაზრის გახსნისთანავე.

7. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა, ევროკომისიის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისად შედგება სამი ელემენტისაგან, ესენია:

1. მართვა და მმართველობითი სისტემები - **ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა;**
2. დამოუკიდებელი და ობიექტური მარწმუნებელი საქმიანობა სისტემების შეფასებისთვის - **შიდა აუდიტი;**
3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის და შიდა აუდიტის ჰარმონიზაციისა და კოორდინაციის ერთეული - **ჰარმონიზაციის ცენტრი.**

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება ქვეყნის საჯარო სექტორში მიმდინარეობს ჰარმონიზაციის ცენტრის (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი) მიერ შემუშავებული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სისტემის განვითარების 2017-2019 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მნიშვნელოვანი

შედეგები მიიღწა. ასევე წარმატებით განხორციელდა 2021-2024 წლების სტრატეგიის 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. **ფინანსური მართვისა და კონტროლის** სისტემის მიმართულებით პროგრესი გულისხმობს მეთოდოლოგიური ბაზის გაუმჯობესებასა და პილოტური იმპლემენტაციის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად ცნობიერებისა და ანგარიშვალდებულებითი ურთიერთობების გაუმჯობესების ხელშეწყობას სამიზნე დაწესებულებებში, რომლებიც მეტწილად ცენტრალურ სამინისტროებს წარმოადგენდნენ გასულ პერიოდში. **შიდა აუდიტის** მიმართულებით შესაძლოა გამოიყოს მეთოდოლოგიური და დამხმარე სახელმძღვანელოების შემუშავება, შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის ხარისხის შეფასება, შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე და შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების კონცეფციის შემუშავება.

ამოცანები და მიზნები

7.1 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის გაძლიერებისთვის ჰარმონიზაციის ცენტრის ამოცანას წარმოადგენს **რისკების მართვისა და მენეჯერული ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბება, როგორც ცენტრალური, ისე ავტონომიური და ადგილობრივი მმართველობის დონეზე**, რაც გულისხმობს დაწესებულებებში მიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელების იდენტიფიკაციას უფლებამოსილებებისა და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრის გზით. აღნიშნული ხელს შეუწყობს დაწესებულებების მიზნების მიღწევას კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად.

რისკის მართვის სისტემა მოიცავს იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების, კონტროლისა და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს დაწესებულების, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფისა (ერთეულის) თუ დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე.

ფინანსური მართვისა და კონტროლის გამართულად ფუნქციონირებისათვის დაწესებულებაში უნდა არსებობდეს მენეჯერული ანგარიშვალდებულების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ დაწესებულების ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მიზნების მიღწევაზე დროულად, მოცემული ბიუჯეტის ფარგლებში, არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით. მენეჯერული ანგარიშვალდებულება ვრცელდება დაწესებულების მმართველი რგოლიდან საოპერაციო მენეჯერამდე. არსებული ანგარიშვალდებულების სისტემა სრულად უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრატეგიისა და მიზნების ეფექტიან განხორციელებას, ბიუჯეტის მიზნობრიობისა და დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

7.2 შიდა აუდიტის განვითარება

შიდა აუდიტის სუბიექტების განვითარების ხელშეწყობისთვის ამოცანად განისაზღვრა **შიდა აუდიტორების კვალიფიკაციის ამაღლება და დადასტურება შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის დანერგვის გზით**. ამასთან, მნიშვნელოვანია ეფექტიანობისა და სისტემური აუდიტორული შემოწმებების წილის გაზრდა და ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის მეთოდოლოგიური ჩარჩოს შემუშავება, რათა შიდა აუდიტორებმა შეძლონ აღნიშნული აუდიტორული შემოწმების განხორციელება.

მაღალკვალიფიციური შიდა აუდიტორების, განვითარების მეტნაკლებად ერთგვაროვანი დონისა და მუდმივი კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შიდა აუდიტორთა ეროვნული სერტიფიცირების პროგრამის დანერგვა საჯარო სექტორის შიდა აუდიტორებისთვის. სისტემის არსებობის აუცილებლობას ხაზს უსვამს ასევე ის ფაქტიც, რომ საქართველოში არ არის შიდა აუდიტის საერთაშორისო ინსტიტუტის ადგილობრივი წარმომადგენლობა.

სისტემური აუდიტი უზრუნველყოფს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებას. ეფექტიანობის აუდიტი უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამების შედგენის, საინვესტიციო, ფინანსური, ადამიანური, მატერიალური და სხვა რესურსების გამოყენებისა და მართვის სფეროში განხორციელებული საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ანალიზსა და შეფასებას. ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) აუდიტის საშუალებით ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ადეკვატურობისა და სისტემის უსაფრთხოების დაცულობის შემოწმება და შეფასება სისტემის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად, შიდა აუდიტორული შემოწმების ზემოხსენებულ სახეებს დაწესებულებისთვის მოაქვს მნიშვნელოვანი დამატებითი ღირებულება, თუმცა, მიმდინარე ეტაპისთვის ეფექტიანობისა და სისტემური აუდიტების წილი მცირეა შიდა აუდიტორული შემოწმებების ჯამურ რაოდენობაში მათი კომპლექსურობიდან გამომდინარე. რაც შეეხება IT აუდიტს, ამ სახის აუდიტორული შემოწმებები თითქმის არ ხორციელდება საჯარო სექტორში, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა.

8. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

საქართველოში მიმდინარეობს უპრეცედენტო მასშტაბის, ევროპულ ოჯახთან დაახლოების რეფორმა. საუბარია ბიზნესის გამჭვირვალობის რეფორმაზე, რომელიც 2016 წლიდან მიმდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საფუძველზე. რეფორმის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მეშვეობით, შეიქმნა ანგარიშგების პორტალი (www.reportal.ge) - პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, რომელიც საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებს მოიცავს. რეპორტალის მეშვეობით, საწარმოებს შეუძლიათ ფართო აუდიტორიას აჩვენონ რამდენად სანდო და სტაბილურია მათი ბიზნესი. უნდა აღინიშნოს, რომ რეფორმის არსებობის ხუთწლიან მანძილზე ანგარიშგების პორტალზე არსებულ ინფორმაციას მრავალი დაინტერესებული მხარე გამოიყენებდა. ხარისხიანი და სანდო ანგარიშგებების გასაჯაროება საერთო სივრცეში, საბოლოო ჯამში, საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, კაპიტალის ბაზრის განვითარებას, კრედიტორთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების დაცვასა და ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკაზე დადებითად აისახება.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, სდპ, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებს გაუჩნდათ ვალდებულება, რომ მოამზადონ და ანგარიშგების პორტალზე წარადგინონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს, მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებები და მმართველობის ანგარიშგება. მესამე კატეგორიის საწარმოებს კი მსს ფასს სტანდარტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების, ხოლო მეოთხე კატეგორიის საწარმოებს ადგილობრივი სტანდარტით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა.

ამოცანები და მიზნები

8.1 ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში მიღებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საწარმოებს ევალებათ ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების წარდგენა და გასაჯაროება ანგარიშგების პორტალზე (Reportal.ge). კანონის საფუძველზე, სდპ, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოებს გაუჩნდათ ვალდებულება, რომ მოამზადონ და სამსახურს წარუდგინონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS, IFRS for SMEs) შესაბამისად მომზადებული ანგარიშგებები. მეოთხე კატეგორიის საწარმოები კი ისარგებლებენ ადგილობრივი, გამარტივებული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტითა და თვითსწავლების სახელმძღვანელოთი, რომელიც შემუშავდა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, სამსახურის, საჯარო/კერძო სექტორისა და პროფესიის წარმომადგენლების ჩართულობით, ევროდირექტივების მოთხოვნების გათვალისწინებითა და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. წარდგენის მაჩვენებელი ყოველწლიურად ინარჩუნებს მაღალ ნიშნულს. 2021 წელს, წარდგენის მაჩვენებელმა სდპ, I, II, III კატეგორიებისთვის - 95%, ხოლო IV კატეგორიის საწარმოების გათვალისწინებით 80% შეადგინა. საერთო ჯამში დღეის მდგომარეობით 70 ათასამდე

საწარმო წარადგენს. აღნიშნული მაჩვენებლის შენარჩუნება და გაზრდა რეპორტალის ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ამასთან, დღეის მდგომარეობით სრული ანგარიშგების წარდგენა ხორციელდება PDF ფორმატში, საიდანაც დაახლოებით მხოლოდ 30%-ის წარდგენა ხდება ციფრულ ფორმატში. სამსახურის ხედვით, ევროინტეგრაციის გზაზე, მნიშვნელოვანია ანგარიშგების სრულად ციფრულ ფორმატში წარდგენა, რაც გაზრდის წარდგენილი და გასაჯაროებული ანგარიშგების ხარისხს და მნიშვნელოვნად გაამარტივებს ამ ინფორმაციის დამუშავებას. 2022 წლიდან სამსახური მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს XBRL/iXBRL-ის სტანდარტის დანერგვის მიზანშეწონილობის კვლევას რომლის შედეგებიც განსაზღვრავს აღნიშნული სტანდარტის დანერგვის გადაწყვეტილებას.

8.2. ანგარიშგებების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

ანგარიშგების პორტალზე წარდგენილი ანგარიშგებების ხარისხის ზრდისა და საწარმოთა მხრიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების/კანონის მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, სამსახური ახორციელებს წარდგენილი ინფორმაციის კანონთან, წესთან და სტანდარტებთან შესაბამისობას.

აღნიშნული პროცესის ფარგლებში კანონთან და წესთან შესაბამისობის კუთხით, მოწმდება სდპ, I და II კატეგორიის საწარმოებისა მიერ წარდგენილი ანგარიშგები სრულად. III კატეგორიის საწარმოების მიერ წარდგენილი ანგარიშგების შემოწმება ხდება სტატისტიკურად რისკზე დაფუძნებული მიდგომით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ანგარიშგება ვერ აკმაყოფილებს კანონითა და წესით დადგენილ კრიტერიუმებს, შემოწმება ხდება დეტალურად სისტემაში ჩადებული საწარმოს კატეგორიის შესაბამისი შემოწმებების მეშვეობით. რაც შეეხება IV კატეგორიის საწარმოების მიერ წარდგენილი ანგარიშგების შემოწმებას, აღნიშნული ხორციელდება სისტემის მხრიდან, ავტომატურად, წინასწარ განსაზღვრული შემოწმებების შესაბამისად, ხოლო ის სუბიექტები, რომლებიც აღნიშნულ სისტემურ შემოწმებას ვერ გაივლიან, შემოწმდებიან დეტალურად.

2020 წლიდან სამსახური ახორციელებს ანგარიშგების მიმოხილვას სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით. სდპ, I და II კატეგორიის საწარმოების საშუალო ჯამური რაოდენობა არის 1100 სუბიექტი, ხოლო III კატეგორიის საწარმოები დაახლოებით 4500. III კატეგორიის საწარმოების ფინანსური მონაცემები მუშავდება კოეფიციენტების მიხედვით და ირჩევა მნიშვნელოვანი გადახრის მქონე სუბიექტები. სასურველია ყოველწლიურად შესამოწმებლად შეირჩეს აღნიშნული პოპულაციის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებების დაახლოებით 10%. არსებული რესურსების ფარგლებში მიმდინარე პერიოდისთვის წლიურად მოწმდება მხოლოდ 40 ფინანსური ანგარიშგება, რაც შესამოწმებელი პოპულაციის მხოლოდ 0.7%-ია.

პროცესის გამჭვირვალებისათვის და ანგარიშგების ხარისხის გაზრდის ხელშესაწყობად სამსახური 2020 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს სახელმძღვანელო დოკუმენტს შემდგომი წლების ანგარიშგების განხილვის პრიორიტეტებთან დაკავშირებით, რომელშიც აისახება ინფორმაცია წარდგენილი და/ან გასაჯაროებული ანგარიშგების შერჩევის კრიტერიუმების და წარდგენილ და/ან გასაჯაროებულ ანგარიშგებებში შეუსაბამოების გამოვლენის და მათი გასწორების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია იმ პრიორიტეტების და მიდგომების თაობაზე, რასაც სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს შესაბამისი წლების ანგარიშგებების განხილვისას.

ამავდროულად, წარდგენილი ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, სამსახური ყოველწლიურად გამოსცემს წინა საანგარიშგებო პერიოდზე მომზადებული ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შემაჯამებელ

დოკუმენტს: „ფინანსური ანგარიშგებების განხილვის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამოები“, რომელშიც სამსახურის მიერ ფინანსური ანგარიშგებების ფასს სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი შეუსაბამოებია წარმოდგენილი.

8.3. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

ანგარიშგების პორტალზე განთავსებული ანგარიშგებების სანდოობა უნდა გაზარდოს აუდიტორულმა დასკვნებმა. ანგარიშგებებთან ერთად აუდიტორი დასკვნის წარდგენა კანონმდებლობით ევალუატი საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს (სდპ), პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებს. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა აუდიტორების/აუდიტორული ფირმების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი. 2017 წლიდან მონიტორინგი სამსახურის მიერ ხორციელდება როგორც გეგმიურად, ისე რისკზე დაფუძნებული მიდგომის საფუძველზე. მონიტორინგის მიზანია აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მიერ განხორციელებული აუდიტორული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება. სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (აუდიტორთა შეფასებითი კატეგორია) ემსახურება აუდიტორული და პროფესიული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და სამართლიანი პრაქტიკის ხელშეწყობას. სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს.

სდპ-ების აუდიტის უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ ფირმებს, რომელთაც აქვთ გავლილი ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი და მინიჭებული აქვთ შესაბამისი ხარისხობრივი კატეგორია სამსახურის მიერ დადგენილი წესით. მონიტორინგის შედეგები ხელმისაწვდომია აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში, რომელიც განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. <https://www.saras.gov.ge/>.

გასატარებელი ღონისძიებების შესრულების შემდეგ გაიზრდება საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორების/აუდიტორული ფირმების საქმიანობის ხარისხი რაც მათ მიერ აუდიტორულ ანგარიშგებას უფრო სანდოს გახდის და გაამარტივებს ავტორიზებული სტატუსის მინიჭების პროცესს.

8.4 ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური განისაზღვრა შემდეგი ანგარიშვალდებული პირების საზედამხედველო ორგანოდ:

- სერტიფიცირებული ბუღალტერი, იურიდიული პირი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურებას ახორციელებს და რომლის სახელით მოქმედებს სერტიფიცირებული ბუღალტერი;
- აუდიტორი, აუდიტორული (აუდიტური) ფირმა.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიზანს წარმოადგენს ანგარიშვალდებულ პირთა წრის გაფართოება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მისი იმ საბუღალტრო მომსახურების გამწევ პირებზე გავრცელება რომლებიც ამ ეტაპზე არ წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებს, სრულფასოვანი სამართლებრივი ჩარჩოს

ჩამოყალიბება, ანგარიშვალდებულ პირთა წრის ცნობიერების ამაღლება და რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განხორციელება.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, შეიქმნება რეესტრი რომელშიც ამჟამად არსებულ შესაბამის ანგარიშვალდებულ პირებთან ერთად გაერთიანდებიან ის პირებიც, რომლებიც ამ ეტაპზე არ წარმოადგენენ ანგარიშვალდებულ პირებსგამოიცემა უკვე შემუშავებული და დამუშავების პროცესში მყოფი სამართლებრივი აქტები, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულ პირებს ვალდებულებების სრულყოფილად გაანალიზებასა და შესრულებაში, ხოლო სამსახურს - ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციებისა და ევროდირექტივების მოთხოვნების შესაბამისად, ზედამხედველობის განხორციელებაში.

დანართი 1. ფინანსთა სამინისტრო: PFM-ის სტრატეგიის შედეგების მატრიცები

ცხრილი 1A. ფინანსთა სამინისტრო: 2023-2026 წლების PFM-ის სტრატეგიის შედეგების მატრიცა

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
1	ბიუჯეტირება							
1.1	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის და ყოვლისმომცველობის გაზრდა	საშუალოვადიანი ჩარჩო დაგეგმვის ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBI – ღია ბიუჯეტის ინდექსი; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017); EU დირექტივა (2011/85/EU	PI-5 - A PI-15.1 – D PI-16 – B+ (PEFA 2021 შეფასება); OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის 2021 წლის შედეგით საქართველო პირველ ადგილს იკავებს 120 ქვეყანას შორის.	PI-5 - A PI-15.1 – A PI-16 – B+; OBI - ღია ბიუჯეტის ინდექსის შენარჩუნება;	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება; მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება;"	2027-2030 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); PEFA შეფასების ანგარიში - 2026 (www.pefa.org); OBS - ღია ბიუჯეტის კვლევა 2026 (www.internationalbudget.org/open-budget-survey/)	

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
1.2	ფისკალური დისციპლინის გაძლიერება	ფისკალური პოლიტიკა ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ გონივრულ ფისკალურ წესებს	"SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBI – ღია ბიუჯეტის ინდექსი; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (IMF, 2017) ; EU დირექტივა (2011/85/EU) IMF - ფისკალური დისციპლინის ჩარჩოს გაძლიერება (2017)"	PEFA PI-15.3 – A PEFA PI-11 – A	PEFA PI-15.3 - A PEFA PI-11 – A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები	"2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564); 2023-2026 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org);"	
1.3	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ყველა ეტაპზე პროექტების განხორციელებაზე	"SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA ;	"PEFA PI-11 – A 2017 წელს მომზადდა საინვესტიციო პროექტების მართვის	"PEFA PI-11 – A მსოფლიო ბანკი (WB) - საინვესტიციო პროექტების	"PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება რეფორმის მასშტაბურობა და სირთულე	"2027-2030 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი (BDD); საბიუჯეტო დოკუმენტაცია;	

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
		ე გადაწყვეტილება მიიღება სისტემური მიდგომით შესაბამისი ანალიზის საფუძველზე	OBI; მსოფლიო ბანკი (WB) - საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასება (PIMA) "	შეფასების დოკუმენტი (PIMA), სამოქმედო გეგმასთან ერთად. "	მართვის შეფასების (PIMA) სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები ს შესრულება "	შესაბამის უწყებებში კვალიფიციური კადრების არასაკმარისი რაოდენობა	PEFA შეფასების ანგარიში - 2026 (www.pefa.org); "	
1.4	შედეგზე ორიენტირებული დაგეგმვის ეფექტიანობის გაძლიერება	ხარჯვითი ნაწილის დაგეგმვა ხორციელდება მოსალოდნელი შედეგების მიხედვით	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBS; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება საქართველოში (IMF); EU დირექტივა (2011/85/EU)	PEFA : PI-2 – B+ PI-5 – A PI-8 – A	PEFA : PI-2 – A PI-5 – A PI-8 – A	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება სამინისტროებსა და უწყებებში კადრების არასათანადო კვალიფიკაცია	PEFA შეფასების ანგარიში - 2026 (www.pefa.org); 2027-2030 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი. 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564);	

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
1.5	ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის დანერგვა	საჯარო ფინანსების მართვის ყველა ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია და საჯარო საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის შესაბამისად	SDG (გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები) 16.6 ინდიკატორი; PEFA OBS; FTE - ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება საქართველოში (IMF); EU დირექტივა (2011/85/EU)	PEFA : PI-5 – A PI-9 – A OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შედეგით საქართველო 82 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს 115 ქვეყანას შორის და მოქცეულია სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების რიგში;	PEFA : PI-5 – A PI-9 – A OBI - ღია ბიუჯეტის ინდექსის შენარჩუნება;	PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება OBI - ღია ბიუჯეტის კვლევის მეთოდოლოგიის შესაძლო ცვლილება;	PEFA შეფასების ანგარიში - 2026 (www.pefa.org); OBS - ღია ბიუჯეტის კვლევა 2021 (www.internationalbudget.org/open-budget-survey/) განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საბიუჯეტო დოკუმენტაცია (www.mof.ge) 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს (https://mof.ge/4564);	
1.6	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	ადგილობრივ დონეზე ხორციელდება ფინანსების უკეთესი დაგეგმვა საშუალოვადიან პერიოდში	PEFA	PEFA HLG1 – საშუალო შეფასება D+ PI-8 - C PI-17-C+	PEFA HLG1 – B (მუნიციპალიტეტების 50%-ის შემთხვევაში) PI-8 - არანაკლებ 1 პუნქტით გაუმჯობესება მუნიციპალიტეტების 50%-	მუნიციპალიტეტებში კადრების არასათანადო კვალიფიკაცია PEFA შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	PEFA შეფასების ანგარიში - 2021 (www.pefa.org);	

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
					ის შემთხვევაში) PI-17 - არანაკლებ 1 პუნქტით გაუმჯობესება მუნიციპალიტეტების 50%-ის შემთხვევაში			
1.7	სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ბიუჯეტს შორის კავშირის გაძლიერება	ბიუჯეტზე თანდართულია ინფორმაცია პოლიტიკის კლასიფიკატორების ჭრილში; ბიუჯეტზე თანდართული დოკუმენტაცია მოიცავს ინფორმაციას პოლიტიკის კლასიფიკატორებთან კავშირების და მათი ფისკალური გავლენების თაობაზე.	GRPFM მეთოდოლოგიის მიდგომები ბიუჯეტისა და გენდერული ასპექტების ბიუჯეტში ასახვასთან დაკავშირებით	GRPFM-3 (Gender Responsive Budget Circular) - D GRPFM-6 (Tracking Budget expenditure for gender equality) – D PEFA 2022 PI-8 - A ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ebudget) არსებობს	GRPFM-3 და GRPFM-6 ინდიკატორის გაუმჯობესება . PEFA PI-8 - A 2027-2030 წლების პროგრამულ ბიუჯეტში პროგრამების/ქვეპროგრამების დაკავშირებულია სტრატეგიული/სექტორული პოლიტიკის შესაბამის	პროგრამების შესაბამის პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირების საკითხის კომპლექსურობა და არასათანადო კვალიფიკაცია საკითხის სიახლიდან გამომდინარე.	2027-2030 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი, რომელიც წარედგინება პარლამენტს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.	

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორის ო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
				სტრატეგიული/ს ექტორული სტრატეგიული/ს ექტორული პოლიტიკის დოკუმენტებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებ ული პროგრამების დაკავშირების მექანიზმი; დაგეგმვისა და ანგარიშგების ეტაპზე არ არსებობს ინფორმაცია პოლიტიკის კლასიფიკატორე ბთან კავშირების და მათი ფისკალური გავლენების თაობაზე.	კლასიფიკატო რთან;			
2	მთავრობის ვალის მართვა							

	სტრატეგიის მიმართულებები და ამოცანები	მიზანი 2026 წლისთვის	დოკუმენტები საერთაშორისო პრაქტიკიდან	საბაზისო მაჩვენებელი	სამიზნე მაჩვენებელი	შესაძლო რისკები	დადასტურების წყარო	შენიშვნა
2.1	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის შემუშავება და გამოქვეყნება (ადგილობრივი მთავრობებისთვის ვალის მართვაში დახმარების გაწევა).	PEFA	PI 13.3 - A	PI 13.3 - A	PEFA-ს შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება	საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია და განთავსებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge)	
